2010 წელი, 28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№32 (506) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

პასუხგაუცემელი კითხვების კვალდაკვალ

14 პროფესიული სასწავლებლის გაუქმებასთან დაკავშირებით ჩვენს გაზეთს ინტერვიუ მისცა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა **დენის დავითაშვილმა**. მან ღიად და დაუფარავად გამოხატა კრიტიკული დამოკიდებულება მომხდარის გამო. გაზეთი რომ ტენდენციური არ ყოფილიყო, საჭიროდ ჩავთვალე მეორე მხარისთვის, ამ შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვისაც მოგვესმინა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, მაგრამ მოვახერხე და ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ **ლალი ეგანოიძეს** ვესაუბრე. მან კატეგორიულად უარყო ნახსენებ ინტერვიუში მოყვანილი რამდენიმე ფაქტი, თქვა, რომ დირექტორებმა მოსალოდნელი ლიკვიდაციის შესახებ კარგა ხნით ადრე იცოდნენ, რომ ვიდრე მინისტრი №700 ბრძანებას გამოსცემდა, მან თავად მოინახულა ეს სასწავლებლები და რომ არც ერთ მათგანში სრულყოფილი სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს, რომ ყალბია ის განცხადებები, რომლებითაც თითქოსდა აქ სწავლის მსურველებმა სასწავლებლის დირექციას მიმართეს. მაშინ მე შევთავაზე ქალბატონ ლალის, გაზეთის მეშვეობით ეპასუხა ოპონენტისთვის და ჩვენთვისაც აეხსნა, რა კრიტერიუმების გათვალისწინებით მიიღო სახელმწიფომ ასეთი გადაწყვეტილება, რომელსაც შედეგად მოჰყვა ასობით სასწავლებელდაუმთავრებული ახალგაზრდა და 800-მდე უმუშევრად დარჩენილი პედაგოგი. თითქოს შევთანხმდით, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ თანაშემწის (თუ სწორად მახსოვს) სატელეფონო ზარმა შემატყობინა, რომ ქალბატონ ლალის საჭიროდ არ მიაჩნია მსგავს ბრალდებებზე პასუხის გაცემა (!). შევეცადე, თანამოსაუბრე, საწინააღმდეგოში დამერწმუნებინა, შემეხსენებინა, რომ საჯარო პირს კანონი ავალდებულებს, უპასუხოს პრესის შეკითხვებს, მაგრამ როგორც ჩანს არ გამომივიდა, რადგან ჩემ მიერ გადაგზავნილ კითხვებზე პასუხი დღემდე არ მიმიღია. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ (თავის არიდებამ) მაფიქრებინა, თავად მეპოვა პასუხები და გავრკვეულიყავი რამდენად სწორი იყო ბატონი დენისი თავის შეფასებებსა და დასკვნებში.

გვერდი 4-5

მშობელთა კრება

მოზივაციის პრობლემა მოზარდებში

გვერდი 6

კვლევა

გენდერი და საოჯახო როლები

გვერდი 7

ახალი საგანი

ექსპერიმენტების სკოლა

გვერდი 8

კვალი ნათელი

პოეზური რექისური ხიბლი

გვერდი 8

ინკლუზიური განათლება

ერთად შევიცნოთ საფყარო

გვერდი 9

ჯერ ისევ პროცესია და არა – პროცესის დასასრული

საბოლოო ჯამში, ჯერჯერობით, მაინც მიდის პოლიტიკური გემოვნების საკითხებზე კამათი, პროცესების სტატისტიკური შედეგები არ გვაძვს, მეტიც, სისტემამ გარკვეული ტიპის სტაბილურობას უნდა მიაღწიოს, რომ, დაახლოებით, ათი წლის შემდეგ მისი შედეგები შევაფასოთ. ჯერჯერობით, სისტემა ძალიან ტურბულენტურია და ცვლილებების პროცესშია, ამიტომ შედეგებზე ვერ ვილაპარაკებთ. შეიძლება საზოგადოების ერთმა ნაწილმა თქვას, რომ პოლიტიკურად ეს მომგებიანია და რაღაც შედეგებს მივიღებთ, მეორე ნაწილმა კი განაცხადოს, რომ ამ შედეგებს ვერ მივიღებთ. ერთი რამ ცხადია, ჯერ სისტემას სტაბილური სახე არ მიუღია, მხოლოდ სტაბილური სახის მიღების შემდეგ შეგვეძლება შედეგებზე საუბარი.

გვერდი 2-3

ინტერვიუ რექტორთან

ჯერ ისევ პროცესია და არა – პროცესის დასასრული

გვესაუბრება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიგი თევზაძე

– ხუთი წელია, რაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ტარდება, საინტერესოა, რა სურათია – როგორი დონის პირველკურსელები მოდიან, ან საერთოდ, ამ თვალსაზრისით, რა შედეგი მივიღეთ ერთიანი ეროვნული გამოცდებით?

– მე ვერ გეტყვით საერთო მდგომარეობას, რადგანაც საქართველოში არ არსებობს ჩამოყალიბებული, მდგრადი კრიტერიუმები, რომლებითაც აბიტურიენტების განათლების ხარისხის ზრდას გაზომავ. ამ „არარსებობას“ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი აქვს. თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთან, ყოველწლიურად, სტუდენტების განათლებისა და მომზადების დონე, წინა წელთან შედარებით, უკეთესია. ერთი მხრივ, ეს ერთიანი ეროვნული გამოცდების დამსახურებაა, რადგან გამოცდების ეს სისტემა, 2004 წლამდე არსებულთან შედარებით, ბევრად უფრო სამართლიანია; თუმცა, მეორე მხრივ, არც ისაა დასამალი, რომ გამოცდების სისტემა ხდება ელიტისტური: იზრდება გამოცდების რაოდენობა, გრანტის გაცემა დამოკიდებულია ოთხ საგანზე და არა უნარების გამოცდაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გრანტის გაცემა ავტომატურად დამოკიდებულია რეპეტიტორთან მომზადებულ სტუდენტზე; უკეთესად მომზადებული სტუდენტი კი შეძლებული ოჯახიდანაა, რადგან მხოლოდ ეკონომიკურად შეძლებულ ოჯახებს აქვთ საშუალება, შვილები რეპეტიტორებთან მოამზადონ. ვფიქრობ, რომ ეს დროებითი გადახვევაა და სისტემა ისეთივე ადეკვატური გახდება სოციალური ვითარების, როგორც ეს ევროპაში ან ამერიკის შეერთებულ შტატებშია. ვიცი, რომ ელიტისტურობის დაძლევის მცდელობა არსებობს, მიუხედავად ამისა, წლევანდელი სისტემა ნამდვილად იყო ასეთი, რადგანაც გრანტის გაცემა დამოკიდებული იყო კონკრეტული ინფორმაციის ფლობაზე და კონკრეტული ვიწრო უნარების გამომუშავებაზე, რაც რეპეტიტორთან მომზადებით მიიღწევა. აქედან გამომდინარე, ამ მხრივ, აბიტურიენტები არათანაბარ მდგომარეობაში არიან. თუმცა, ჩვენ შევეცადეთ ეს სისტემა შეგვერბილებინა: ჩვენთან, საბაკალავრო ფაკულტეტებზე ჩაბარების მსურველს მეოთხე საგნად ნებისმიერი საგნის ჩაბარება შეუძლია, საკუთარი არჩევანის მიხედვით. ამით, რა თქმა უნდა, ვკარგავთ გრანტიან სტუდენტებს, რადგანაც აბიტურიენტები ირჩევენ იმ საგნებს, სადაც ნაკლები კონკურენციაა და შედარებით დაბალი ქულა „იგებს“. სამაგიეროდ, ვიგებთ იმით, რომ ჩვენთან მოდიან ისეთი სტუდენტები, რომლებიც მაღალ ქულებს იღებენ უნარების გამოცდაში და მეტად არიან თვითგანვითარებაზე ორიენტირებულები. ანუ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ოდნავ მაინც მოვახერხეთ მისაღები გამოცდების ელიტისტურობის განეიტრალება. მართალია, რეპეტიტორობა უძველესი პროფესიაა და ამას ვერაფერს უზამ, მაგრამ მხოლოდ ამაზე არ უნდა დაამყარო შენი საზოგადოების მომავალი.

– რეპეტიტორობა სერიოზულ პრობლემად იქცა, უფროს კლასებში სკოლა რეპეტიტორმა ჩაანაცვლა. გასულ წელს მეთორმეტეკლასელთა უმეტესობა სკოლაში არ დადიოდა, რეპეტიტორებთან მეცადინეობდნენ...

– წელს სკოლებში უფროსკლასელთა დასწრება გამკცრდა. უფროსკლასელთა სკოლაში დასწრებას ახალმა სასერტიფიკაციო გამოცდებმაც შეუწყო ხელი. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი, რადგან ჯერჯერობით ჩვენი საგამოცდო სისტემა, რომლის მიხედვითაც ცხრა სასერტიფიკაციო (სასკოლო) და ოთხი სასელექციო (უნივერსიტეტში მოსახვედრი) გამოცდაა, მაინც ელიტისტურია, რადგან უნივერსიტეტში მოხვედრა ოთხ გამოცდაზეა დამოკიდებული, რაც კვლავ რეპეტიტორებზე ჩამოკიდებულად ხდის მოსწავლეს. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ეს ჯერ ისევ პროცესია და არა – პროცესის დასასრული.

– 2010 წლიდან დაიწყო რეფორმის ახალი ეტაპი, პირველი ეტაპიდან კი ბევრი რამ გადაფასდა, გადაიხედა და ზოგიერთი შეცდომადაც შეფასდა – ტრიმესტრული სწავლება, ინტეგრირებული სწავლება და ა.შ. ბევრი სიახლე დაინერგა – ახალი საგნებიც დაემატა, რას გვეტყვით ამის შესახებ...

– ფიზკულტურის გადაკეთება სპორტის გაკვეთილებად ნამდვილად კარგია, არც კულტუროლოგიაა ცუდი, თუმცა არც ერთი მათგანის სასწავლო გეგმას არ ვიცნობ და კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

რაც შეეხება ინტეგრირებულ სწავლებას, ვფიქრობ, მომავალში მაინც შემოვა, რადგან ეს გარდაუვალია და, საერთოდ, სასკოლო განათლების მომავალი ისეთია, რომ აუცილებლად მივალთ ინტეგრირებულ სწავლებამდე, განსაკუთრებით – დაწყებით და საბაზო საფეხურზე. კიდევ ვიმეორებ, ეს გარდაუვალია. რაც არ უნდა ილაპარაკონ პოლიტიკოსებმა, რომ, მაგალითად, აუცილებელია, მეშვიდე კლასში მოსწავლემ ფიზიკა და ქიმია ისწავლოს ცალ-ცალკე, ეს ასე არ იქნება, განათლების სისტემის განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე. სკოლის ბოლო, საშუალო საფეხურზე კი შეიძლება პროფილირებული – კონკრეტული მეცნიერებების სწავლება. ეს აუცილებლად ასე მოხდება. რაც შეეხება გადაფასებას, რასაკვირველია, გადაფასდა, რადგანაც 2004 წელს დაგეგმილი განათლების სისტემა ძვირიანი განათლების სისტემა იყო. დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ჩვენ იძულებულები ვართ, იაფიანი განათლების სისტემა ავაწყოთ. იაფიანი განათლების სისტემა კი სწორედ იმ ცვლილებებს მოითხოვს, რაც განხორციელდა.

– მასწავლებელთა ატესტაციის შედეგებს როგორ შეაფასებთ?

– ეს სურათი მოსალოდნელი იყო, რადგან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მასწავლებელთა განათლებას ყურადღება არ ექცეოდა და ინსტიტუციურად არ იყო განმტკიცებული მათი თვითგანვითარება. ეს გამოცდა მასწავლებელთა განვითარების ერთგვარი ინსტიტუციური ხელშეწყობაა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, დანამატი მხოლოდ 75 ლარია. ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მასწავლებელმა დრო დახარჯოს და გამოცდისთვის მოემზადოს, ის გაცილებით მეტ გასამრჯელოს აიღებს რეპეტიტორობით. როგორც მოსალოდნელი იყო, კარგი მასწავლებლების უმეტესობამ არ მიიღო მონაწილეობა. შეიძლება ისიც ვივარუდოთ, რომ გამოცდაზე გასული მასწავლებლების ნაწილი არ არის წარმატებული თავის საქმიანობაში, არ შეუძლია დამატებითი შემოსავლის აკუმულირება რეპეტიტორობით და მისი მოტივაცია 75-ლარიანი დანამატი იყო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მასწავლებლები ცუდები არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებში უფრო იმ მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა, ვისაც სხვა შემოსავლის წყარო, თავიანთი კვალიფიკაციის გამო, არ ჰქონდათ. ეს წახალისება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ყველა მასწავლებელმა მიიღოს მონაწილეობა ამ გამოცდებში და მომზადებაზე დრო დახარჯოს.

> **სასერტიფიკაციო გამოცდებში უფრო იმ მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა, ვისაც სხვა შემოსავლის წყარო, თავიანთი კვალიფიკაციის გამო, არ ჰქონდათ.**

– ითქვა ისიც, რომ მასწავლებლები ვერ გადამზადდნენ კარგად.

– მასწავლებლები ვერ გადამზადდნენ კარგად – არასერიოზული ნათქვამია. მე მესმის, რომ ამ ნათქვამის უკან უფრო ინტერესთა კონფლიქტი დგას, ვიდრე საქმით რეალური დაინტერესება. მასწავლებლების უკეთესი გადამზადება არარსებულ პირობებში შეუძლებელი იყო. მთავარი იყო ის, რომ სახელფასო დანამატი, რომელსაც სახელმწიფო მასწავლებლებს დაჰპირდა, არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ გამოცდებში მონაწილეობის მოტივაცია მაღალი ყოფილიყო.

> **სახელფასო დანამატი, რომელსაც სახელმწიფო მასწავლებლებს დაჰპირდა, არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ გამოცდებში მონაწილეობის მოტივაცია მაღალი ყოფილიყო.**

– იცვლება ეროვნული გეგმები და სტანდარტები. წელს სახელმძღვანელოების ახალი სტანდარტი მივიღეთ, სავარაუდოდ, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული ცვლილებები მომავალშიც იგეგმება, შესაძლოა ალტერნატიული სახელმძღვანელოების ნაცვლად, ერთი სახელმძღვანელო დამკვიდრდეს...

– სტანდარტებში რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა, უფრო მოხდა ცენტრალიზაცია, რაღაცების უფრო მეტად დაზუსტება. არც მომავალში მგონია, რომ რადიკალური ცვლილებები განხორციელდეს. რაც შეეხება ერთ სახელმძღვანელოს, ეს არ ამართლებს, შეიძლება ამის პოლიტიკური ნება არის, მაგრამ პრაქტიკაში, არსად მსოფლიოში ერთი სახელმძღვანელო არ მუშაობს და, თუ სადმე მუშაობს, კარგ შედეგს არ იძლევა. ეს უფრო პოლიტიკური ცდებია, რაც საბოლოო ჯამში საერთო სურათს არ აფუჭებს. საერთოდ ასეთი აქცენტის გაკეთება სახელმძღვანელოებზე, თავისთავად, არასწორია, რადგან სახელმძღვანელო ძირითადი სასწავლო მასალა არ არის, ძირითადია პროცესი, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის მიდის, სახელმძღვანელო უბრალოდ ამ პროცესს ეხმარება.

საინტერესოა თვითონ სახელმძღვანელოს ისტორია – მისი შექმნა სიღარიბესთანაა დაკავშირებული. პირველი სასკოლო სახელმძღვანელო, როგორც ვიცი, აშშ-ში შეიქმნა: იმიტომ, რომ ცენტრისაგან დაშორებულ ადგილებში ერთნაირი წიგნები არ ჰქონდათ, ბავშვებს, მაგალითად, კითხვის სასწავლად, სახლიდან მოჰქონდათ სხვადასხვა წიგნები. ეს კი მასწავლებელს პრობლემას უქმნიდა. წარმოიშვა იდეა, გაეკეთებინათ სტანდარტული ტექსტების კრებული, რომელიც ყველა ბავშვს ექნებოდა და მასწავლებელს მათთან მუშაობას გაუადვილებდა – კითხვის სწავლებას და ტექსტებზე მუშაობას. ანუ სახელმძღვანელო გაჭირვების შედეგია და არა – წინგადადგმული ნაბიჯი და განვითარების შედეგი. თუ კარგი მასწავლებელია და სკოლას კარგი ბიბლიოთეკა აქვს, სულ არ არის საჭირო სახელმძღვანელო. კარგ მასწავლებელს შეუძლია, ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით, კარგი ბიბლიოთეკის გამოყენებით, მით უფრო ახლა – ინტერნეტის და სხვა საშუალებების დახმარებით – ადეკვატურად ასწავლოს და მაღალი დონის შედეგები მიიღოს. სახელმძღანელოზე ასეთი აქცენტის გაკეთება, ვფიქრობ, ცოტათი გადაჭარბებულია და თან მოძველებული ტენდენციაა. სასკოლო განათლებას და სასკოლო განათლებაში წარმატების მიღწევას საკუთარი ლოგიკა აქვს.

– შთაბეჭდილება რჩება, რომ სკოლებში დეცენტრალიზაციის პროცესი შენელდა. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?

– განათლების სისტემაში არც ცალკე ცენტრალიზაცია და არც ცალკე დეცენტრალიზაცია წარმატების საფუძველი არ არის, ეს პოლიტიკური გემოვნების საკითხია. დეცენტრალიზაციას უფრო მეტი რეგულირება სჭირდება, ცენტრალიზაციას – ნაკლები. რაც უფრო დეცენტრალიზებულია სკოლები, მით უფრო მეტი საზოგადოებრივი და სახელმწიფო შემოწმების მექანიზმებია საჭირო იმისათვის, რომ დეცენტრალიზებულმა სისტემამ კარგად იმუშაოს. ეს, თავისთავად, არც იმას ნიშნავს, რომ განათლების ხარისხი აიწევს, არც იმას – რომ დაიწევს. არსებობს წარმატებული სისტემები, სადაც დეცენტრალიზაციის ხარისხი მაღალია ან პირიქით – დაბალი. მაგრამ იმის თქმა, რომ დეცენტრალიზაციის ხარისხი

> **სახელმძღანელოზე ასეთი აქცენტის გაკეთება, ვფიქრობ, ცოტათი გადაჭარბებულია და თან მოძველებული ტენდენციაა.**

ინტერვიუ რედაქტორთან

უნდა იყოს მაღალი იმისათვის, რომ კარგი შედეგები გვქონდეს, არასწორია. დღეს მივიღეთ სისტემა, რომლის მიხედვითაც სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში არიან სკოლები, ანუ ის არის სკოლების

ჩვენ არ ვაკეთებთ ძვირ სისტემას იაფად, ვაკეთებთ იაფ სისტემას შესაბამისი ქულით, ეს კი პოლიტიკური სიმწიფის ნიშანია – როცა შეუსრულებელ მიზნებს არ სახავ.

არა შემმოწმებელი (როგორც ეს იყო 2004 წლის სისტემით), არამედ – მმართველი. ვნახავთ, როგორი შედეგი ექნება ამ სისტემას, არის პლიუსებიც და არის მინუსებიც. საბოლოო ჯამში, გარკვეული ტიპის დელეგირების გარეშე შეუძლებელია ამხელა სასკოლო სისტემის მართვა, თუმცა შეიძლება ეს დელეგირება მოდიოდეს როგორც ცენტრალიზაციიდან, ისე დეცენტრალიზაციიდან. ასე რომ, წინასწარ ვერაფერს ვიტყვით, ვნახოთ, როგორ სისტემას ააწყობს სამინისტრო.

– რეფორმის ახალი ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება სკოლებში მანდატურების შეყვანაა, რასაც საზოგადოება არაერთგვაროვნად აფასებს. თქვენი აზრით, მანდატურის სამსახური არის „უსაფრთხო სკოლის“ შექმნისთვის შესაფერისი ფორმა?

– იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრ სკოლაში მასწავლებლები და დირექტორები ვერ აკონტროლებენ მოზარდებს და ვერ ახერხებენ, თუნდაც, ძალადობის პრევენციას, საჭიროა რაღაც ზომის მიღება. არის აზრი, რომ მანდატური დირექტორის დაქვემდებარებაში უნდა იყოს. ჩემი აზრით, დირექტორის დაქვემდებარებაში ისედაც არიან მასწავლებლები, რომლებიც ამ სიტუაციას ვერ ფლობენ და ძალადობას ვერ ეწინააღმდეგებიან. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გამიგია, როცა მანდატურებმა ვერ გაამართლეს მათზე დაკისრებული მოვალეობა. ძირითადად, როგორც ვიცი, მანდატურების დანიშნულება სკოლაში არსებული ძალადობის პრევენციაა, რომელიც არა მხოლოდ მოსწავლეებს შორის, არამედ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორისაც არსებობს. ბუნებრივია, ისინი ამ მიმართულებითაც მუშაობენ. ეს, რა თქმა უნდა, მოკლევადიანი ზომაა, არ შეიძლება შენ გქონდეს სისტემა, სადაც მანდატური ცალკე ხაზი იქნება, მაგრამ, როგორც მოკლევადიანი საშუალება, ვფიქრობ, გაამართლებს.

დასამალი არ არის, რომ საქართველოს სკოლებში მასწავლებლების მხრიდან საკუთარი პოზიციების ბოროტად გამოყენების ხშირი შემთხვევებია, ეს სრულიად მოსალოდნელია იმ სისტემაში, სადაც მასწავლებლების მომზადებისა და სტიმულირების ტექნოლოგიებს წლების განმავლობაში ყურადღება არ ექცეოდა, რის შედეგადაც ასეთი სისტემა მივიღეთ. მანდატური არ არის სისტემური მიდგომა, ეს ცეცხლის ჩაქრობის მცდელობაა, უმეტეს შემთხვევაში – აქრობს, ზოგ შემთხვევაში – ვერ აქრობს, ასეთი შემთხვევების რაოდენობა უფრო მცირეა.

– კიდევ ერთი ხმაურიანი პროგრამა – „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“.

– ეს პროგრამა პოლიტიკურად საკამათო უფრო გახდა, როგორც ჩანს,

მანდატური არ არის სისტემური მიდგომა, ეს ცეცხლის ჩაქრობის მცდელობაა, უმეტეს შემთხვევაში – აქრობს, ზოგ შემთხვევაში – ვერ აქრობს.

მაგრამ თავისთავად კარგია. ამ მიმართულებით „მმვიდობის კორპუსი“ მუშაობდა და შედეგებიც ჰქონდა ინგლისური ენის სწავლებაში. ასე რომ, ამ მაგალითის გათვალისწინებით, პროგრამას „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“ შედეგი ექნება.

– თქვენ, როგორც განათლების რეფორმის თანამონაწილემ, იქნებ შეაფასოთ, რა წარმატება და რა ჩავარდნა იყო რეფორმის მიმდინარეობისას?

– უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმა მთლიანად წარმატებული იყო, მიუხედავად იმ ჩავარდნებისა, რაც არსებობდა. რაც შეეხება სასკოლო განათლებას, სასკოლო განათლების სისტემა წარმატებულია თუნდაც იმის გამო, რომ პოლიტიკოსების კამათისა და ზრუნვის საგანი გახდა. მოგეხსენებათ, 2003 წლამდე სასკოლო განათლებაზე საერთოდ არ იყო ლაპარაკი. ის, რომ სისტემა იცვლება, უკვე წარმატებაა; ის, რომ ეს საბოლოო სახე არ არის, წარმატებაა; ის, რომ სასწავლო გეგმების მიხედვით (სხვა საკითხია, რა სიხშირით და როგორ იცვლება სასწავლო გეგმები) ხდება სწავლების შინაარსის განსაზღვრა და არა სახელმძღვანელოების მიხედვით, ასევე მნიშვნელოვანი წარმატებაა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2004 წლამდე, ფაქტობრივად, სახელმძღვანელოების ავტორები საზღვრავდნენ სასწავლო შინაარსს და ფორმალური სტანდარტები არსებობდა. ასე რომ, რაღაც წარმატებულია, რაღაც – წარუმატებელი.

მასწავლებლების სერტიფიცირებაც წარმატებაა, როგორც იქნა დაიწყო, თუმცა, რა თქმა უნდა, დახვეწა სჭირდება – სტიმულირება საკმარისი არ არის. ის, რომ სისტემა საკუთარი დანახარჯების ადეკვატური ხდება, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, ანუ ჩვენ არ ვაკეთებთ ძვირ სისტემას იაფად, ვაკეთებთ იაფ სისტემას შესაბამისი ქულით, ეს კი პოლიტიკური სიმწიფის ნიშანია – როცა შეუსრულებელ მიზნებს არ სახავ. თუმცა, ბუნებრივია, როცა მოდიხარ პრინციპულად წარუმატებელი სისტემიდან (რომელიც 2003 წლამდე გვქონდა), ძნელია ყველაფრის შეცვლა, რა თქმა უნდა, ჩავარდნებიც იქნება. საბოლოო ჯამში, მთავარია, რომ ამაზე მუშაობა მიმდინარეობს. ბევრჯერ მოუხეშავი, ბევრჯერ უხერხული, ბევრჯერ სასაცილო ზომებიც კი ხორციელდება, მაგრამ, რაც მთავარია, მუშაობა მიმდინარეობს და რაღაც ხორციელდება. საბოლოო ჯამში, ჯერჯერობით, მაინც მიდის პოლიტიკური გემოვნების საკითხებზე კამათი, პროცესების სტატისტიკური შედეგები არ გვაქვს, მეტიც, სისტემამ გარკვეული ტიპის სტაბილურობას უნდა მიაღწიოს, რომ, დაახლოებით, ათი წლის შემდეგ მისი შედეგები შევაფასოთ. ჯერჯერობით, სისტემა ძალიან ტურბულენტურია და ცვლილებების პროცესშია, ამიტომ შედეგებზე ვერ ვილაპარაკებთ. შეიძლება საზოგადოების ერთმა ნაწილმა თქვას, რომ პოლიტიკურად ეს მომგებიანია და რაღაც შედეგებს მივიღებთ, მეორე ნაწილმა კი განაცხადოს, რომ ამ შედეგებს ვერ მივიღებთ. ერთი რამ ცხადია, ჯერ სისტემას სტაბილური სახე არ

ილიას უნივერსიტეტი როგორც სასწავლო სისტემით, ისე სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციით საერთოდ ახალია... ეს ისეთი სისტემაა, რომელსაც, ჯერჯერობით, არც ერთი უნივერსიტეტი არ იმეორებს.

მიუღია, მხოლოდ სტაბილური სახის მიღების შემდეგ შეგვეძლება შედეგებზე საუბარი.

– დაიწყო უმაღლესი სასწავლებლების ახალი ავტორიზაცია. რითია ეს განპირობებული?

– უმაღლესი სასწავლებლების ახალი ავტორიზაცია განპირობებულია უფრო საერთაშორისო მდგომარეობით უმაღლეს განათლებაში, ვიდრე შიდა პრობლემებით, რადგანაც შიდა პრობლემებს აკრედიტაცია საკმაოდ კარგად უმკლავდებოდა. ავტორიზაცია დაიწყო იმიტომ, რომ საზღვარგარეთ, მაგალითად, ევროპაში, ამერიკაში ლიცენზირებული სასწავლებლის დიპლომი ითვლებოდა სახელმწიფო აღიარების მქონედ. რას ნიშნავს ეს? როდესაც ლიცენზირებული, მაგრამ არააკრედიტებული სასწავლებლის მოწმობა გადიოდა საზღვარგარეთ, მომართვის შემთხვევაში, სამინისტრო ადასტურებდა, რომ ეს დიპლომი გაცემულია ლიცენზირებული სასწავლებლის მიერ, ფაქტობრივად, ამით სახელმწიფოს ირიბად უწევდა დიპლომის აღიარება, თუმცა ლიცენზირება სულ არ ნიშნავდა იმას, რომ სახელმწიფო იმავე დიპლომს ჩვენს ქვეყანაში აღიარებდა. ავტორიზაცია პროცესს გაამკაცრებს, რომ სახელმწიფომ მართლა აღიაროს დიპლომი და არ მოუხდეს ისეთი დიპლომის აღიარება, რაც მას არ სურს. ეს უფრო საერთაშორისო ვალდებულებებით განპირობებული სისტემური ცვლილებაა, ვიდრე შიდა ვალდებულებებით. ქვეყნის შიგნით ყველაფერი გარკვეული იყო, თუ სასწავლებელს არ ჰქონდა აკრედიტაცია, მის დიპლომს სახელმწიფო არ აღიარებდა, თუმცა, როცა რაღაც ვალდებულება გაქვს სასწავლებელზე აღებული, უცხოეთში ეს აღიარებად აღიქმებოდა. სწორედ ამ უხერხულობის გამოსასწორებლად ტარდება ავტორიზაცია.

– დაბოლოს, რა სიახლეებია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში?

– ილიას უნივერსიტეტი როგორც სასწავლო სისტემით, ისე სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციით საერთოდ ახალია, საქართველოში მსგავსი უნივერსიტეტი არ არსებობს. სასწავლო სისტემას რაც შეეხება, ეს არის ჩრდილო ამერიკული და კანადური სისტემა, როდესაც სტუდენტი არ ირჩევს თავიდანვე ვიწრო სპეციალობას, ზოგად ტალღაში შედის და ერთი წლის შემდეგ ირჩევს ძირითად და მეორე პროგრამას. ეს ლიბერალური განათლების სისტემაა. მეცნიერების ორგანიზაციას რაც შეეხება, ილიას უნივერსიტეტი ხაზგასმულად კვლევითი უნივერსიტეტია, ანუ ამ უნივერსიტეტის მთავარი მიზანი კვლევების ჩატარებაა, ამიტომ კვლევითი დატვირთვა ის მთავარი პრიორიტეტია, რომელზეც ჩვენი უნივერსიტეტი მუშაობს. აქედან გამომდინარეობს ყველა ის სასწავლო გეგმა, რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდება. ეს ისეთი სისტემაა, რომელსაც, ჯერჯერობით, არც ერთი უნივერსიტეტი არ იმეორებს.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

„მიეცით კეისარს კეისრისა!“

ჩვენ ხელთაა თბილისის სააღსრულებლო ბიუროს სააღსრულებლო ფურცელი, რომელიც დაკავშირებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ საქმესთან (A10043989). სტილის დაცვით წარმოვადგენთ ამონარიდს ფურცლიდან, რომელიც ეხება სასამართლოს მიერ ჩვენზე დაკისრებულ ვალდებულებას:

„დავით ფერაძეს დაევალოს მედიის საშუალებით სტატიებში სათაურით მივმართავ საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებას და ყველა იმ ადამიანს, ვინც მოტყუებითაა გაწევრიანებული ე.წ. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში (შემდეგ: სპმთპ. ავტ.) ანუ მანანა ღურჭუმელიძის პირადი კეთილდღეობის მიზნით არსებულ ორგანიზაციაში“, *„ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს“* მანანა ღურჭუმელიძის პატივის, ღირსებისა და სპმთპ-ს საქმიანი რეპუტაციის ცნობების უარყოფა, მასზედ, რომ მანანა ღურჭუმელიძე თავისი საქციელით აბუჩად იგდებს ასიათასობით პროფწევრს და ამ წევრებისაგან გადმორიცხულ ფინანსებს ის და მისი ოჯახი, როგორც უნდათ ისე განკარგავენ; ღურჭუმელიძემ საბჭოს წევრებს ძალადობრივი ზეწოლით მიაღებინა გადაწყვეტილება სახელფასო ანაზღაურების გაზრდის და სპმთპ-ს ბიუჯეტიდან ახალი, საკმაოდ ძვირადღირებული ავტომანქანის შესაძენი თანხის გამოყოფის თაობაზე; მანანა ღურჭუმელიძემ *„ფსევდოპროფლიდერმა“* მანანა კობახიძეს პერმანენტული შანტაჟით, ასევე სხვადასხვა გარიგებებით მაღალი თანამდებობა – გენერალური მდივნის პოსტი გამოსტყუა; მანანა ღურჭუმელიძე *„ფსევდოპროფლიდერი“* ფულის გამოძალვის გზას ადგას.....ქეთევან დოლიძეს დაევალოს მედიის საშუალებით სტატიაში სათაურით *„მასწავლებელთა ფორუმის მიმართვა მანანა ღურჭუმელიძეს! კართაგენი უნდა დაინგრეს“* მანანა ღურჭუმელიძის პატივის, ღირსებისა და სპმთპ-ს საქმიანი რეპუტაციის ცნობების უარყოფა, მასზედ, რომ მანანა ღურჭუმელიძე *„მოთვინიერებულ დირექტორებს“* აიძულებს *„ზოგადი განათლების შესახებ კანონის“* ნორმების დარღვევას და მის სასარგებლოდ ჩარიცხული საბანკო ოპერაციების შედეგად საკუთარ სკოლებზე ზიანის მიყენებას; მანანა ღურჭუმელიძე აბსოლუტურად უკანონოდ ეწევა სკოლის ბუღალტერთა ზეგანაკვეთური შრომის ექსპლუატაციას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე; მანანა ღურჭუმელიძემ ლანძღვა-გინებით გაისტუმრა შემწეობისათვის მოსული სამაჩაბლოდან დევნილი მასწავლებლები...“

ვაღიარებთ რა, რომ ყველა მოქალაქე ვალდებულია პატივი სცეს კანონს და შესაბამისად სასამართლოს და ამავდროულად ვითვალისწინებთ რა სახარებისეულ მცნებას *„მიეცით კეისარს კეისრისა“*, ვასრულებთ სასამართლოს გადაწყვეტილებას და უარვყოფთ მანანა ღურჭუმელიძის პატივის, ღირსებისა და სპმთპ-ს საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ცნობებს. ვიმეორებთ, ჩვენ ვასრულებთ სასამართლოს დადგენილებას და ამით გამოვხატავთ პატივისცემას კანონის უზენაესობისადმი, თუმცა კანონმორჩილება სულაც არ გულისხმობს იმას, რომ სასამართლოს დადგენილებამ უწინდელი აზრი შეგვაცვლევინა მანანა ღუღჭუმელიძის საქმიანობაზე. პირიქით, უფრო მყარად გვწამს ის, რაც იძულებით უარვყავით და თანაც გამოვხატავთ მოსაზრებას, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა არაობიექტურად. მკითხველმა განსაჯოს: მანანა ღურჭუმელიძის ქმარი თავისსავე გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში წინამდებარე *„უარყოფის“* ერთ-ერთ ავტორს – დავით ფერაძეს უწოდებს *„შარდის ბუშტს“*, *„ლორწოვანთა გარსის წარმომადგენელს“* და მსგავს სიბინძურეებს. ამის თაობაზე ჩვენ მიერ შეტანილ საჩივარზე სასამართლომ გამოიტანა ღურჭუმელიძისა და მის თანამოაზრეთა გამამართლებელი განაჩენი, რომლითაც ღურჭუმელიძის ქმარს თურმე ჰქონია იმის უფლება, რაც სურს ის გვიწოდოს, ხოლო იგივე სასამართლომ და იგივე მოსამართლემ იმის გამო, რომ ღურჭუმელიძეზე საჯაროდ გამოვთქვით ეჭვი ძალაუფლების უზურპაციასა და ფინანსების განკარგვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რომ ვუწოდეთ „ფსევდოპროფლიდერი“ და სხვა არანაირი სალანძღავი სიტყვა არ წამოგვცდენია, მართალია მსუბუქი სახის, მაგრამ მაინც გამოიტანა ზემომოცემული შინაარსის განაჩენი. გავიმეორებთ: კომენტარი მკითხველისა და საზოგადოებისათვის მიგვინდვია.

იმის მიუხედავად, რომ *„კეისარს ვაძლევთ კეისრისას“*, და სასამართლოს დადგენილების ფარგლებში სასამართლო იძულებით (და არა პირადი მოსაზრებით) კი უარვყოფთ მანამდე პრესით გავრცელებულ *„ცნობებს“* (სასამართლოსეული კვალიფიკაცია), მაგრამ აზრს, როგორც ასეთს, კვლავაც არ ვიცვლით და თავს დამნაშავედ (ცილისმწამებლად და შეურაცხმყოფელად) არ ვცნობთ, რადგან ფაქტები (რასაც სასამართლოს მიერ *„დაგმობილ“* სტატიებშიც მივუთითებდით) თავად ადასტურებენ ჩვენ გავრცელებულ ცნობებს. ჩვენი მოსაზრების დამადასტურებელია ასევე უკანასკნელ ხანს ღურჭუმელიძესთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები: სპმთპ-ს აღმასრულებელმა საბჭომ ორგანიზაციაში არსებული დარღვევების გამო ის გადააყენა თანამდებობიდან, ხოლო პასუხისმგებლობისადმი თავის არიდების მიზნით ღურჭუმელიძე ამჟამად საზღვარგარეთაა გაქცეული. ამის კომენტირებასაც მკითხველსა და საზოგადოებას ვანდობთ.

პატივისცემით:
დავით ფერაძე,
ქეთევან დოლიძე
116-ე საჯარო სკოლის პედაგოგები

ПРОФЕСИУЛИ ГАНАТЛЕБА

პასუხგაუცემელი კითხვების კვალდაკვალ

პირველი გვერდიდან

რაც საკუთარი თვალით ვნახე

კაზრეთი

სამარშრუტო ტაქსი იმ დასახლებაში ჩერდება, სადაც სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის თანამშრომლები, ფაქტობრივად, კაზრეთის პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები ან მათი ოჯახის წევრები ცხოვრობენ. ამიტომ მეგზურობის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ისინი ძალიან განიცდიან მომხდარს, ამბობენ, რომ შეუძლებელია გაუქმდეს სასწავლებელი, რომელიც კომბინატისათვის ამზადებს კადრებს, მით უმეტეს, რომ არა მარტო აქაურთა, არამედ ახლომახლო სოფლების მცხოვრებთათვის განათლების მიღების ერთადერთი საშუალებაა.

თავად სასწავლებელი კარგად გამოიყურება. შენობის ფასადის გასწვრივ კარგად მოვლილი ტალავერია. ეზოში რამდენიმე ახალგაზრდა დაგვხვდა, როგორც გაირკვა, ამბის გასაგებად მოვიდნენ, მათ განცხადებები აქვთ შემოტანილი და აინტერესებთ, ხომ არაფერი შეიცვალა, როცა კიდევ ორი გოგონა შემოგვემატა და ისინიც იმავე მიზნით, გადავწყვიტე, მათ გავსაუბრებოდი: **მადონა ატუშვილი** და **თემურ ავალიშვილი** საბუღალტრო საქმის შესწავლას აპირებდნენ; **თეა ყულიაშვილი** – სტილისტობას; **გიგა ყაფლანიშვილმა** და **მათე ბასილაშვილმა** სამშენებლოზე შეიტანეს განცხადებები – მათემ შემდუღებლის პროფესია წელს აქ აითვისა; **ელგუჯა ყაფლანიშვილმა** კი სამთო საქმე შეისწავლა და ახლა შემდუღებლის პროფესიის დაუფლებას აპირებდა. ჩვენს საუბარს რამდენიმე პადაგოგი, სანარმოო სწავლების ოსტატი და სასწავლებლის დირექტორი **იზო კაპანაძე** შემოუერთდნენ. *„აი, ეს 3 ძირითადი კარი და გისოსები ჩვენმა შარშანდელმა კურსდამთავრებულებმა, შემდუღებლებმა დაამზადეს, მათივე ნახელავია ის საყვავილეებიც, რომლებიც სასწავლებლის საკლასო ოთახებსა თუ დერეფნებს ამშვენებს, კედლებზეც ჩვენი მოსწავლეების ნამუშევრებია გამოფენილი, საკლასო ოთახებშიც“* – გვითხრა ქალბატონმა იზომ და შენობაში შეგვიძღვა. სასწავლებელი კიდით-კიდემდე დავათვალიერე. სულ 2 კორპუსი მოქმედებს – სასწავლო და ადმინისტრაციული. კლას-კაბინეტები თვალსაჩინოებებით, კომპიუტერული კლასი (12-დან 6-ღა დარჩა), საკუთარი ძალებით განახლებული მაგიდები და ყველა საჭირო ინვენტარი, ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობა, ყველა ნივთსა თუ ნაკეთობას თავისი ადგილი და დანიშნულება აქვს. აქ უგემოვნოდ და უფუნქციოდ ვერაფერს ნახავთ. დიდ, ნათელ ოთახში ბიბლიოთეკაა, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი კლუბი და სპორტული დარბაზი, ერთი სიტყვით, აქ ყველა პირობაა სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის.

სასწავლებელი ყოველწლიურად 6 ჯგუფს იღებდა, ძირითადად, 10-თვიანი პროგრამით, 100-დან 130-მდე ახალგაზრდა სხვადასხვა პროფესიაში მზადდებოდა. მათი დიდი უმრავლესობა მადნეულშია დასაქმებული, ბუღალტრები და კომპიუტერის ოპერატორები – კერძო სექტორში, შარშან ელექტრომონტიორების ჯგუფი მოამზადეს, რომლებიც შემდეგ რაიონის გამრიცხველიანებაზე მუშაობდნენ.

იზო კაპანაძე – 35 წელია ამ სასწავლებელში ვმუშაობ; 13 წელია დირექტორი ვარ. ძალიან კარგი კოლექტივი გვყავს. საშინელი პერიოდი გავიარეთ ერთად. უხელფასოდ ყოველდღე სასწავლებელში ვიყავით, რომ არაფერი დაკარგულიყო, მერე, როცა ცოტა გამოკეთდა მდგომარეობა, ნელ-ნელა სასწავლებლის მოწესრიგებას შევუდექით. დასაქმების პროგრამაც ძალიან დაგვეხმარა – ერთობლივი ძალებით სასწავლებელი გადავხურეთ, სასწავლო პროცესის პარალელურადაც და არდადეგებზეც თითო-ოროლა საქმეს ვაკეთებდით, ხან კედლებს ვლესავდით, ხან საკლასო ოთახებს ვღებავდით, ხან შესასვლელს ვარემონტებდით, მეტლახი დავაგეთ, ეზოს ვალამაზებდით, ათასნაირი ყვავილები გავახარეთ, ახლახან ვარდებიც ჩავრგეთ. ძალიან მენანება, რომ ერთი ხელის მოსმით, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, სამინისტრომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. ახლაც არ გვჯერა, რომ რაღაც არ შეიცვლება. ორი თვეა ყოველდღე დავდივართ, რომ არაფერი დაიკარგოს, აქაურობას ამ წუთში პატრონი არ ჰყავს, არც პასუხისმგებელი პირი დაუნიშნავთ, ახალგაზრდებიც ყოველდღე მოდიან და გვეკითხებიან, ხომ არაფერი შეიცვალაო, მათი საბუთები, სპეციალობებისა და ჯგუფების მიხედვით, აი, ამ საქაღალდეებში მილაგია. რა ვუპასუხო, თავად არაფერი მესმის. როცა ფეხზე დავდექით და ყოველმხრივ წელში გავიმართეთ, მაშინ გაგვაუქმეს, იუბილეს გადახდასაც კი ვაპირებდით, ვინ იფიქრებდა, რომ ასე დასრულდებოდა ყველაფერი.

გურგენ ხაჩატურიანი, საწარმოო სწავლების ოსტატი – ამ პატარა დაბაში მრავალი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს და ჩვენი ცხოვრების ერთ პატარა მონაკვეთს ყველანი ამ სასწავლებელში ვატარებდით. ჰკითხეთ, თუ გინდათ, ჩვენს მეზობლებს, თითქმის ყველა გეტყვით, რომ ეს სასწავლებელი აქვთ დამთავრებული მათაც და მათ შვილებსაც. მე აქ 5 წელია ვმუშაობ. დიდი ხნის პაუზის შემდეგ შარშან პირველად მოვამზადეთ ელექტროშემდუღებელთა 17-კაციანი ჯგუფი, ნამდვილად ვიცი, რომ 4 მათგანი კარიერზე მუშაობს, რამდენიმემ ახლა სხვა სპეციალობაზე შემოიტანა განცხადება. ამას არავინ ელოდა, ძალიან გაკვირვებული ვარ...

ლეილა მაღრაძე – 19 წელია აქ ვმუშაობ. ადრე ფიზიკა-მათემატიკას ვასწავლიდი, ახლა დირექტორის მოადგილე ვარ სასწავლო დარგში. ჩემმა შვილებმაც აქ ისწავლეს. თუმცა უფროსმა ვაჟმა შემდეგ უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა ენერგეტიკის ფაკულტეტზე, აქ სამთო-გამამდიდრებელი პროფესია შეისწავლა. გოგონამაც აქ დაამთავრა, კომპიუტერული სისტემის ოპერატორია. ყველა ჩვენი თანამშრომლის შვილი აქ სწავლობდა, ცუდი რომ იყოს, მშობელი მიიყვანდა იქ საკუთარ შვილს? საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ 25-ვე თანამშრომელი უმუშევარი დავრჩით, არც ერთი არა ვართ საპენსიო ასაკის და ჩვენს ოჯახებში ერთადერთი დასაქმებული ჩვენ ვიყავით, საქმე იმაშია, რომ ჩვენს შვილებს წაერთვათ განათლების მიღების უფლება და ესაა ტრაგედია. არც მარნეულშია სასწავლებელი და არც დმანისში, ბოლნისის რაიონში ეს ერთი იყო და ისიც გააუქმეს.

ლია ბასილაშვილი – მეც ეს სასწავლებელი მაქვს წითელ დიპლომზე დამთავრებული. 12 წელია აქ ვმუშაობ. ჩემმა შვილმაც აქ შეისწავლა გობელენის ქსოვა, როცა კი დროს ნახავს (პატარა ბავშვი ჰყავს), სულ რაღაცას აკეთებს. სამომავლოდ გეგმებიც აქვს. მთავარია, პროფესია აქვს და გამოყენება უკვე მისი საქმეა. გადამზადების პროგრამას რომ ვახორციელებდით, უამრავი ხალხი მოვიდა ჩვენთან, არა მარტო ახალგაზრდები, ბევრი ინსტიტუტდამთავრებულიც იყო და ლექციები რომ მთავრდებოდა, მადლობას გვიხდიდნენ. როგორ შეიძლებოდა ასეთი დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა, მოსულიყვნენ, ენახათ როგორ ვასწავლით, რა ბაზა გვაქვს, შევემოწმებინეთ, მიზეზი მაინც ეთქვათ რატომ გაგვაუქმეს. შეიძლება ამდენი ხნის სასწავლებელს, ამდენ პედაგოგსა და მოსწავლეს ასე მოექცე? აქ ჩვენი ცხოვრების ნაწილია, ჩვენი შრომაა, გული შეგვტკივა აქაურობაზე, ამიტომაც ვერ მივატოვებთ ასე უპატრონოდ აქაურობას. უკვე ორი თვეა ხელფასს არ ვიღებთ, მაგრამ ყოველ დილით მოვდივართ, რაღაცის იმედი გვაქვს, რისი არ ვიცი, მაგრამ წარმოუდგენელია ასე უმიზეზოდ სასწავლებლის ლიკვიდაცია.

ლალი ქებაძე, მშობელი – მე სასწავლებლის ინტერესს კი არა, ჩემი და ჩემი მეზობლების შვილების ინტერესს ვიცავ. ამ დაბის მაცხოვრებელთა 75-80% ჩემსავით სოციალურად დაუცველია. ჩემმა გოგონამ სკოლაც წარჩინებით დაამთავრა და ეს სასწავლებელიც, მაგრამ სასწავლებლად ქალაქში ვერ გავუშვი. იმის შიში არ მქონდა, რომ ეროვნულ გამოცდებს ვერ ჩააბარებდა, პირიქით, დარწმუნებული ვარ, გრანტსაც აიღებდა, მაგრამ სხვაც ხომ ბევრი რამ სჭირდება სტუდენტს, მე ამას ვერ შევძლებდი. ჩემი ხელფასით მხოლოდ ბანკის სესხს ვიხდი, რომელიც მეუღლის ავადმყოფობის გამო ავიღე. ამ სასწავლებლის არსებობა ჩვენი კაპრიზი კი არა, აუცილებლობაა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილმა პროფესია შეიძინოს, თორემ მდიდრებსა და შეძლებულებს სასწავლებელი არაფერში სჭირდებათ. ვერ გამიგია, რატომ გვინგრევენ აშენებულს და თანაც კარგსა და საჭიროს. ვინმე მაინც მოსულიყო და ენახა, სად სწავლობენ ჩვენი შვილები, თუ რაიმე ისე არ არის, როგორც საჭიროა, დაგვხმარებოდნენ. პრეზიდენტი სულ იმას ამბობს, ეს სფერო პრიორიტეტულია ქვეყნისთვისო, ყველა ახალგაზრდისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოსო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კი ხელის ერთი მოსმით აუქმებს ასე ნალოლიავებ სასწავლებელს. ჩვენს გუბერნატორს ისიც კი უთქვამს, ელექტროშემდუღებლები ვთხოვეთ და ვერ მოგვცესო. ტყუილია, მსგავსი არაფერი ყოფილა, დირექტორიც დამეთანხმება. პირიქით, ჩვენ ვთხოვეთ კირკიტაძეს მოსულიყო სასწავლებელში, დაეთვალიერებინა, კოლექტივს შეხვედროდა და მის შენარჩუნებაში დაგვხმარებოდა, გვითხრა დმანისში მეჩქარება აზერბაიჯანული სკოლა უნდა გავხსნა და მერე აუცილებლად მოვალო, მაგრამ მოგვატყუა, არ მობრძანდა.

– ნეტა მართლა ეთხოვათ ელექტროშემდუღებლები, ჩვენი ბავშვების კვალიფიკაციაში ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, დაუფიქრებლად გავუგზავნიდი, რამდენსაც მოისურვებდა, მაგრამ მსგავსი რამ მართლაც არ ყოფილა, – საუბარში ჩაერთო ქალბატონი იზო.

ლენა ცაბიაშვილი – თავის დროზე მეც ეს სასწავლებელი დავამთავრე. მეუღლე უმუშევარია და ჩემი ხუთი შვილისთვის ერთადერთი შემოსავლის წყარო ეს იყო – დამლაგებლად ვმუშაობდი. მინდოდა გოგონა გადმომეყვანა, ცხრაკლასდამთავრებულია, შემდეგ ვაჟიც, მაგრამ ახლა რა უნდა ვქნა, აღარ ვიცი.

ნუგზარ ყაფლანიშვილი, კაზრეთის საკრებულოს დეპუტატი – ამ პროფესიულ სასწავლებელშია მომზადებული იმ კადრების 60%-ზე მეტი, ვინც კომბინატში მუშაობს. არც ადრე და არც ახლა მათი პროფესიული მომზადების დონე და კვალიფიკაცია არავის დაუწუნია. ჩვენი წარმოება პერსპექტიულია, მომავალში კიდევ უფრო განვითარდება და კადრები აუცილებლად დასჭირდება, ძალიან მოსახერხებელია და გონივრულიც რომ მუშახელი სწორედ აქ მომზადდეს, მისი ლიკვიდაცია წარმოუდგენელია, მით უმეტეს, რომ რეგიონში სასწავლებელი აღარ დარჩა, რუსთავის ერთადერთი სასწავლებლის გარდა.

წინამძღვრიანთკარი

1883 წლის 4 სექტემბერს (ძვ. სტილით) ილია წინამძღვრიშვილის დიდი ხნის თავდაუზოგავი მცდელობის შემდეგ, წინამძღვრიანთკარში გაიხსნა საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა, სკოლის გახსნას ესწრებოდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ილია ოქრომჭედლიშვილი, ნიკო ცხვედაძე, მოსე ჯანაშვილი, დიმიტრი სტაროსელსკი.

სკოლაში სწავლა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი წესდებით და ნიკო ცხვედაძის მიერ შემუშავებული პროგრამებით მიმდინარეობდა, სწავლა ექვსწლიანი იყო და ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა. პირველ წელს სკოლაში მიღებულ იქნა 22 მოსწავლე.

ილიას უნარიანი ხელმძღვანელობით, სკოლამ მოკლე ხანში მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. სკოლას ჰქონდა ორგვარი წიგნთსაცავი მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის, სამჭედლო-სახელოსნოები თანამედროვე მანქანა-იარაღებით მოწყობილი, ფერმა, ოთახი, სადაც ზამთრობით სხვადასხვა ჯი-

შის მცენარეს ზრდიდნენ, საფუტკრე, მუზეუმი, ღვინის სარდაფი – სადაც საფრანგეთიდან ჩამოტანილი ღვინის სანური დღესაც ასრულებს თავის დანიშნულებას. სკოლის ტერიტორიაზე ილიამ ააგო ქვის ეკლესია, რომელიც მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და 1887 წლის 17 მაისს აკურთხეს, ეკლესია დღესაც მოქმედია. სკოლის ტერიტორიაზე იყო და დღესაც თავს იწონებს საუკუნეებს გამოვლილი ისტორიული „ცხრა მუხა“ (1600 წ.). ლეგენდის თანახმად: 1795 წელს, კრწანისის ველზე, ირანის შაჰთან უთანასწორო ბრძოლის შემდეგ, თბილისიდან წამოსულმა მეფე ერეკლე მეორემ, თავის ამალასთან ერთად გადმოიარა ზედაზნის ქედი, გვერდით აუარა ბოკონინის ციხე გალავანს და სოფელ წინამძღვრიანთკარში „ცხრა მუხის“ ქვეშ შეჩერდა, მუხლი მოიყარა, ღმერთს თავის ქვეყნის ბედი შეავედრა, მეომრები გაამხნევა და მცირედი შესვენების შემდეგ ანანურისაკენ გაემართა.

1920 წლის 2 სექტემბერს, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა ილია წინამძღვრიშვილი, 7 სექტემბერს კი მისი ცხედარი, ანდერძისამებრ, დაკრძალეს მშობლიურ სოფელში ცაცხვის გორაზე.

1924 წელს სკოლას დაემატა სპეციალური კლასი და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დაერქვა. ერთ დროს შეუმჩნეველი წინამძღვრიანთკარი, ილია წინამძღვრიშვილის მეოხებით, საქვეყნოდ ცნობილი სოფელი გახდა. 1928 წლიდან – წინამძღვრიანთკარის ცენტრალური საცდელ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი ეწოდა.

სასწავლებლის ისტორია სათუთად ინახავს იმ ადამიანების გვარებს, რომლებიც აქ სწავლობდნენ და შემდეგ წარმატებულები გახდნენ, ასეთები არიან: გამოჩენილი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, „საქართველოს ბულბულად“ წოდებული მომღერალი სიკო ქუმსიაშვილი, „მცხეთელი მინდია“ – მიხეილ მამულაშვილი, სამაგალითო მეფუტკრე აპოლონ წულაძე და სხვ.

1933 წლიდან სასწავლებელს ეწოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელიც წარმატებით აგრძელებდა ძველ ტრადიციებს;1966 წლიდან – იწოდება წინამძღვრიანთკარის წი-

პროფესიული განათლება

ნამძღვრიშვილის სახელობის საბაზო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად.

1993 წლიდან სასწავლებელი გადაკეთდა წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ-ეკოლოგიურ კოლეჯად, ხოლო 2008 წლიდან, ორი სასწავლებლის რეორგანიზაციის (მცხეთის პროფესიული ლიცეუმის და წინამძღვრიანთკარის ჰუმანიტარულ-ეკოლოგიური კოლეჯის) შედეგად, ჩამოყალიბდა სსიპ წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის პროფესიული სწავლების ცენტრად.

საქართველოს განათლების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის ბრძანებით, სხვა 13 სასწავლებელთან ერთად, „ცოდნის აკვანი“ (ასე უწოდა ილია ჭავჭავაძემ) ლიკვიდირებულია. მინისტრის არგუმენტი არ ვიცით, მაგრამ ებანოიძის თქმით, სახელმწიფო ვერ შეინახავს ისეთ სასწავლებელს, რომელსაც უკუგება არ აქვს.

რა იგულისხმა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა უკუგებაში ვერ გეტყვით, მაგრამ, რაც საკუთარი თვალით ვნახე, ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა. სასწავლებელი, ყოველწლიურად, 6 ჯგუფში 100-ზე მეტ ახალგაზრდას ამზადებს. წელს 120-მა ახალგაზრდამ აიღო სერტიფიკატი, თუმცა ფერმერთა 3 ჯგუფიდან ერთი გარდამავალია და რომ არა პედაგოგიური კოლექტივის დიდი პასუხისმგებლობა ამ ახალგაზრდების მიმართ, ისინი ვერ დაასრულებდნენ სწავლას – პედაგოგები, ორი თვეა, უხელფასოდ მუშაობენ, რათა სტუდენტები შუა გზაზე არ მიატოვონ. ორ ჯგუფში ბუღალტერ-მოანგარიშე, ხოლო ერთში მდივან-რეფერენტი მოამზადეს.

განათლების მინისტრს სასწავლებლების ლიკვიდაციის აუცილებლობა ასე აუხსნია – დირექტორებს ფინანსური დარღვევები ჰქონდათ, გენინსპექციის შემოწმებისა შეეშინდათ და განცხადებები თავად დაწერესო (?!) უცნაური ახსნაა. აქამდე კანონდამრღვევს სჯიდნენ, უწყებას კი არ აუქმებდნენ.

სასწავლებლის მფლობელობაშია 22 ჰა მიწა, აქედან 8 ჰექტარზე გაშენებულია ასობით ძირი ატამი და მუხა, 300 ძირი კაკალი, 80 ძირი პავლოვნია, 100 ცაცხვი, ახალ სანერგეში ბევრი ევროპული ჯიშის მცენარეს ახარებენ და ეს ყველაფერი 400-წლოვანი „ცხრამუხის“ გარშემო. ლეგენდა რომ მუდამ ცოცხლობდეს, იქვე ახლოს, იმგვარივე განლაგებით, მუხის 9 ნერგი ხარობს.

საკმაო დრო დავყავი სასწავლებელში. ბევრი რამ მოვისმინე სასწავლო გეგმებისა და პროგრამების კოორდინატორის, **მერი ყოჩიაშვილისა** და დირექტორის მოადგილის, **გემურ ჩხაიძისაგან**. მათ დიდი გამოცდილება აქვთ უცხოელ კოლეგებთან პარტნიორული ურთიერთობის, კერძოდ, ვაშინგტონისა და კენტუკის უნივერსიტეტებთან. მათი წარმომადგენლები საქართველოში ჯიპას პროგრამით მოხვდნენ. სასწავლებელი მეტად მოსწონებიათ, ვიდრე აგრარული უნივერსიტეტი, განსაკუთრებით მისი ისტორიით დაინტერესებულან და გადაუწყვეტიათ, რაც ყველაზე მეტად წაადგებოდათ, თანამედროვე ტექნიკა ეჩუქებინათ. ასე გაჩნდა აქ ხორბლის დამხარისხებელი დანადგარი, მინი-ტრაქტორი, ჰერბიციდების შემტანი აპარატი, 100 კვ.მ მოცულობის სათბური. თავად ქალბატონი მერი, ტასისის პროგრამით, ლონდონში იმყოფებოდა, ასეთივე ტიპის სასწავლებელში ფერმერული მეურნეობის გასაცნობად და შესასწავლად. ამ სასწავლებელს თურმე სახელმწიფო აფინანსებს, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ბრიტანელებს ამ დარგის განვითარება, რომ ცალკეული საგრაფოები, კერძო პირები, მათ შორის მშობლები, დიდ პატივად მიიჩნევენ საკუთარი წვლილის შეტანას სასწავლებლის შემდგომ განვითარებაში; ასევე ბევრის მომტანი იყო სასწავლებლისთვის გერმანიის ქალაქ ვაინშტეფანის უნივერსიტეტთან ურთიერთობა. გერმანელმა სპეციალისტებმა გარკვეული პერიოდი იმუშავეს წინამძღვრიანთკარის სასწავლებელში, შემდეგ ტესტური გამოცდა ჩაუტარეს სტუდენტებს, მათგან 16 საუკეთესო 6 თვით სასწავლებლად წაიყვანეს გერმანიაში და ფერმერების ოჯახებში აცხოვრეს; აუცილებლად უნდა ვთქვა ისიც, რომ თავისი არსებობის მანძილზე სასწავლებელი სოფლისთვის საკონსულტაციო ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა. უცხოეთში მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით, ათასგვარი ლიტერატურით, სათესლე მასალის დასამუშავებელი პრეპარატებით, მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებით, ვეტექიმის რჩევებით ეხმარებოდნენ ადგილობრივ გლეხებს.

ბოლო განსაცდელი, ისე როგორც ჩვენმა ქვეყანამ, ამ სასწავლებელმაც 90-იან წლებში გამოიარა, მაგრამ მცხეთის გამგეობის განსაკუთრებული ყურადღებით (15 წლის განმავლობაში 11 ჯგუფს – 300-მდე ბავშვის სწავლას აფინანსებდა) და მხარდაჭერით გადარჩა. საფრთხე მხოლოდ ახლა, დაარსებიდან 127 წლის შემდეგ, შეექმნა მის არსებობას, როგორც მინისტრი ამბობს, საქართველოს მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილებით (!).

ილიას (ჭავჭავაძეს ვგულისხმობ) არ სჩვეოდა პათეტიკური ტონით წერა და საუბარი. თუმცა სამეურნეო სკოლის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვა, ამ მხრივ, ნამდვილად გამორჩეულია. მცირე ამონარიდს შემოგთავაზებთ: *„...როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც, ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავი მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი – აი, ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან“...*

ის პატარა შენობა კარგა ხანია უფრო დიდით შეიცვალა, მაგრამ თუ დროზე არ მივხვდით, რომ ჩვენს ქვეყანას დღესაც უჭირს და როგორც არასდროს, ისე სჭირდება მცოდნე კაცები, მალე ძიძებიც დატოვებენ აქაურობას, ისინი აღარავის დასჭირდება... ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე მოხდეს.

... და რაც მიამბეს

რუსთავი

„იმედი“ – ასე ერქვა 14-თაგან ერთს, რომელიც რუსთავში ფუნქციონირებდა და 19 სპეციალობაში ამზადებდა ახალგაზრდებს, მათ შორის, მეტალურგებს. ახლა ამ პროფესიას არსად აღარ ასწავლიან, ჯერჯერობით არც „მოდუსში“, ვისაც „იმედი“ შეუერთეს, და სადაც უკვე გადაიტანეს ყველაფერი, რაც „იმედის“ საკუთრება იყო. ამიტომ იძულებული გავხდი, მის აწ უკვე ყოფილ დირექტორთან, განათლების გამოცდილ მუშაკთან, ბატონ **დავით ჯალაღანიასთან** საუბრით შემოვფარგლულიყავი. „ჩემთვის დღემდე გაუგებარია ამ გადაწყვეტილების არსი და მიზანი. 2007 წლიდან დავინიშნე აქ დირექტორად და სამინისტროდან არასოდეს შენიშვნა არ მიმიღია, პირიქით კი ყოფილა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, ვაწყობდით ე.წ. საანგარიშო ღონისძიებას და, ბუნებრივია, სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტსაც ვიწვევდით. წელს ქალბატონი ლალი ებანოიძე ვერ მოვიდა, მაგრამ დეპარტამენტის ორი თანამშრომელი – **ანა მაჭარაშვილი** და **თამარ სამხარაძე** გვესწრებოდნენ. მოწვეული იყვნენ დამსაქმებლები, რომელთაც ატესტატები გადასცეს კურსდამთავრებულებს, საქმიანი და საზეიმო ღონისძიება იყო; სამინისტროს წარმომადგენლებს კმაყოფილება არ დაუმალავთ, ამიტომაც ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ, 7 აგვისტოს, სამინისტროში დამიბარეს და სასწავლებლის მოსალოდნელი ლიკვიდაციის შესახებ მაცნობეს. სულ მალე, ამას კიდევ უფრო გამაოგნებელი ფაქტი მოჰყვა – განათლების მინისტრმა, 24 აგვისტოს ბრძანებით, „იმედს“ გადასცა კომპიუტერები და სხვა სახის ინვენტარი, გახარებულებმა ოპერატიულად ჩამოვიტანეთ საჩუქარი რუსთავში და სასწავლებელში დავალაგეთ. ჩავთვალეთ, რომ ლიკვიდაციის საფრთხე აღარ არსებობდა, მაგრამ როგორც განვითარდა მოვლენები, თავადაც იცით – 14 სექტემბრის ბრძანების „წყალობით“ 500-მდე ახალგაზრდა გაწბილებული, ხოლო 54 თანამშრომელი უმუშევარი დარჩა. სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ვთქვა, დირექტორებთან შეხვედრისას ლალი ებანოიძემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით სწყდება გული „იმედზე“ და ბორჯომის სასწავლებელზე, მაგრამ მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ეს მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა (!). თუმცა, მოგვიანებით გავიგე, როგორ აუხსნია განათლების მინისტრს სასწავლებლების ლიკვიდაციის აუცილებლობა – დირექტორებს ფინანსური დარღვევები ჰქონდათ, გენინსპექციის შემოწმებისა შეეშინდათ და განცხადებები თავად დაწერესო (?!) უცნაური ახსნაა. აქამდე კანონდამრღვევს სჯიდნენ, უწყებას კი არ აუქმებდნენ. ფაქტია, ძალიან გაუაზრებელი და ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილებაა მიღებული.

* * *

კომენტარისთვის არა, მაგრამ დასკვნის სახით მინდა მაინც ხაზგასმით ვთქვა – არც ერთ ამ სამ სასწავლებელში წინასწარ, მაგალითად, შარშან ან წელს რამდენიმე თვით ადრე, არ იცოდნენ, რომ სასწავლებელი გაუქმდებოდა; გადაწყვეტილების მიღებამდე, სამინისტროდან, შესაბამისი დეპარტამენტიდან არავის შეუმოწმებია თუნდაც ერთი მათგანი. აქედან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია იმის მტკიცება, რომ თითქოს ლიკვიდაციის მიზეზი სასწავლებლის გაუმართაობა, ფინანსური დარღვევები ან ყალბი განცხადებებია.

ჩვენ გავაგრძელებთ ამ თემაზე პუბლიკაციებს. ვთხოვთ ყველა ლიკვიდირებული სასწავლებლის წარმომადგენლებს, გამოგვეხმაურონ და მოგვაწოდონ ობიექტური ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომელზეც დღევანდელ წერილში ვისაუბრეთ.

ანა ფირცხალაიშვილი

უმაღლესი სასწავლებელი

კითხვა-პასუხის დილა

თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტში (რექტორი –პროფესორი **ამირან მექვაბიშვილი**) მუშაობის, დისციპლინის შემოწმების სხვადასხვა ნორმა არსებობს! მათ შორის ვიყენებთ კონტროლის შემდეგ დემოკრატიულ ფორმას: უნივერსიტეტის მთავარ შესასვლელში დაყენებულია საფოსტო ყუთი, რომელსაც აწერია:

1. მოგწონთ თუ არა ჩვენი უნივერსიტეტი, გამოხატეთ თქვენი აზრი;
2. შეგვეკითხეთ და გიპასუხებთ;
3. ყუთი გაიხსნება ყოველ პარასკევს დილით 10 საათზე.

სწორედ წინა პარასკევს, 22 ოქტომბერს გაიხსნა ყუთი და ჩატარდა „კითხვა-პასუხის დილა“. ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც სტუდენტები, ისე პროფესორ-მასწავლებლები.

შეკითხვების გარკვეული ნაწილი ეძღვნებოდა იმას, თუ რატომ შეეცვალა უნივერსიტეტს ილია ჭავჭავაძის სახელი. მათ აუხსნეს, რომ სახელის შეცვლა რაიმე არსებითი მიზეზით კი არ მომხდარა, უბრალოდ დედაქალაქში რამდენიმე სასწავლებელს ერქვა ეს სახელი და მოქალაქეებს ერთმანეთში ერეოდათ მისი რეალური ადგილსამყოფელი.

ამასთანავე, სტუდენტთა სხვა საინტერესო კითხვებს პასუხი გასცეს უნივერსიტეტის რექტორმა, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა **ანზორ ბენიძემ**, დეკანებმა: **ნუგზარ ამილახვარმა** და **ნანა კირკიტაძემ**, მაგისტრატურის მენეჯერმა **გული დარცმელიამ** და სხვებმა.

დასასრულს ყველა სტუდენტს გადაეცა საუნივერსიტეტო გაზეთის „ილიას გზით“ ახალი ნომერი.

კითხვა-პასუხის დილის ჩატარების პრაქტიკა სასარგებლოდ მიგვაჩნია და იგი კვლავაც გაგრძელდება.

მანანა გეჭანიშვილი
თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგე
თბილისი, კოსტავას ქუჩა №47

მშობელთა კრება

მოტივაციის პრობლემა მოზარდებში

ხშირად მოგვისმენია მშობლებისგან საყვედური: *„არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ჩემს შვილს არაფერი არ აინტერესებს, არაფრისკენ არ ისწრაფვის, მთელი დღე კომპიუტერთან შეუძლია გაატაროს (ან ტელევიზორის წინ ტახტზე წამოწოლილს, ან მეგობრებთან ერთად ქუჩაში და ა.შ.)“*. რა თქმა უნდა, სამართლიანი საყვედურია – ბავშვი მრავალმხრივ უნდა განვითარდეს და სასარგებლო შრომითაც უნდა დაკავდეს. მაგრამ, რატომ არ სურთ ეს თავად ბავშვებს? რატომ არის დღეს ამდენი მოტივაციადარღვეული და უნებისყოფო ბავშვი?

შევეცადოთ, გავმიჯნოთ მოტივაციის დარღვევის რამდენიმე მიზეზი, თუმცა მათი შედეგი, ერთი შეხედვით, მსგავსია.

პირველი, ყველაზე **ბუნებრივი ვარიანტი** – ბავშვი, იმ დრომდე, როცა მშობლების აზრით ერთგვარ „პროსტრაციის“ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ნორმალურად ვითარდებოდა, ჰქონდა უამრავი გეგმა და ინტერესი, ცდილობდა მათ განხორციელებას. და აი, მან დაიწყო „ფიქრი“, „არასაჭირო“ წიგნების კითხვა, ქუჩაში ხეტიალი. თითქოს, რაღაც საიდუმლო გაუჩნდა, ჩაიკეტა და მისი გონება ნამდვილად არ არის იმით დაკავებული, რითიც საჭიროა. როგორც ჩანს, ნორმალური განვითარების ფონზე, მოზარდობის ასაკში შესვლამ თქვენი შვილი შეცვალა. მას გარკვეული დრო სჭირდება, რომ ამ ცვლილებას დააკვირდეს და გაიგოს, რა ხდება; მიიღოს საკუთარი თავი, ახალი მიზნები და მოტივაცია დაისახოს. ადამიანის განვითარების გზაზე ეს პერიოდი სერიოზული თვისობრივი ნახტომია, ამიტომ არ ღირს ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება. პროცესი რამდენიმე დღეში არ დასრულდება, ის დროშია გაწელილი და საკმაოდ რთულია. ბუნებრივია, მოზარდი ფიქრის დროს წამოწვეს და დაიწყოს ჭერში ყურება ან ახალგაჩენილ შეკითხვებზე პასუხი წიგნებში ეძიოს – ეს კარგიცაა. როგორია ამ დროს თქვენი რეაქცია? სავარაუდოდ, მოზარდს უამრავი კითხვით მიმართავთ, მაგალითად: „სამეცადინო არ გაქვს?“, „რა მოგვიდა, ავად ხომ არ ხარ?“, „მოხდა რამე?“ და საყვედურებით ავსებთ. ბავშვი კი დუმს, პასუხს არ გცემთ, გაღიზიანებულია, რაც თქვენ კიდევ უფრო გაღელვებთ – სულ ტყუილად. გაიგეთ, ის ვერ გეტყვით, რომ ფიქრობს საკუთარ ცხოვრებაზე, ზოგადად ცხოვრებაზე, ანუ სერიოზული განსჯითაა დაკავებული. ვერ გეტყვით, რადგან ამაზე საუბარი მიღებული არ არის, თან ჯერ თვითონაც ბოლომდე ვერაფერში გარკვეულა, რომ პასუხის ფორმულირება შეძლოს. თქვენ კი, დახმარების ნაცვლად, ხელს უშლით. მოზარდს იმის შიშიც აქვს, რომ შეიძლება დასცინოთ და, რა თქმა უნდა, ცდილობს დაიცვას საკუთარი შინაგანი სამყარო.

ცხოვრების ეს პერიოდი ერთგვარ სავალდებულო გაჩერებას შეიძლება შევადაროთ, როცა საკუთარი ცხოვრების თვისობრივად ახალი ეტაპის გაცნობიერება მიმდინარეობს. როგორც წესი, „გაჩერება“ დიდხანს არ გრძელდება.

ამ შემთხვევაში, ზედმეტია მოტივაციის დარღვევაზე საუბარი, უბრალოდ, აქცენტების გადანაცვლება ხდება. ამ დროს მოზარდი უსაქმოდ კი არ არის, არამედ ურთულესი შინაგანი ძალისხმევა უწევს. მშობლის როლი, სასურველია, მხარდამჭერი და სწორი მიმართულების მიმცემი იყოს. ეცადეთ, შვილთან კავშირი არ გაწყვიტოთ, პირიქით – გააორმაგეთ. გამოძებნეთ ახალი, მოულოდნელი თემები მასთან სასაუბროდ, მოუყევით თქვენი მოზარდობის შესახებ. წამოიწყეთ რაიმე საქმე, რომელშიც შვილსაც ჩართავთ, ეს უფრო დაგაახლოვებთ ერთმანეთთან. გახსოვდეთ! **კონტაქტი** არ ნიშნავს **კონტროლს**! ნუ მოახვევთ თავს თქვენს ღელვას, ისწავლეთ მისი ნდობა და უბრალოდ იურთიერთეთ მასთან.

მოზარდობის ასაკში შესულ შვილთან ურთიერთობისას მშობელთა კიდევ ერთი შეცდომა – ქედმაღლობა, იმის დემონსტრირებაა, რომ მათ ყველაფერი იციან. ბავშვები შესანიშნავად გრძნობენ უფროსების განწყობას, ამიტომ მათთან ურთიერთობა გულწრფელობაზე, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე უნდა ავაგოთ. დაეხმარეთ შვილს მისთვის საჭირო ლიტერატურის მოძიებაში და თქვენი მადლიერი იქნება. ყველაზე მთავარია, სერიოზულად მიიღეთ მისი პიროვნება, რაც მას საკუთარი თავის სერიოზულად აღქმაში დაეხმარება, ეს კი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ძლიერი, ჯანმრთელი და ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული პიროვნების ჩამოყალიბების გზაზე.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ქცევაში სერიოზული არასასურველი ცვლილებები მოხდა, მაგალითად: მიატოვა სკოლა და ძველი გატაცებები, გაიჩინა უცნაური ნაცნობები, ხშირად მიდის სახლიდან, უხეშობს – უნდა გაფრთხილდეთ და სათანადო სპეციალისტებს მიაკითხოთ.

თავისთავად ის, რომ ბავშვი ფიქრობს, ცუდი არ არის, ამ დროს პოზიტიური პროცესი მიმდინარეობს. მაგრამ, თუ ის დაიბნა და უბრალოდ არ იცის, როგორ გააგრძელოს ცხოვრება? **მოზარდობის ასაკში შესული ბავშვის დაბნეულობა მოტივაციის შესაძლო დარღვევის მეორე მიზეზია.** ორივე შემთხვევაში, სიმპტომები მსგავსია, მაგრამ მეორე შემთხვევაში გაცილებით იზრდება მშობლების როლი. ამასთანავე, მათი დახმარება ძალიან ფრთხილი და მოზომილი უნდა იყოს, არავითარ შემთხვევაში – თავსმოხვეული. ეცადეთ, უფრო უსმინოთ, ვიდრე თქვენ ილაპარაკოთ. საშუალება მიეცით, ბოლომდე გაიხსნას, იმ შემთხვევაშიც აჰყევით, თუნდაც არ გესმოდეთ, რაზე გელაპარაკებათ. შეიძლება ზოგჯერ მოგეჩვენოთ, რომ „ღრუბლებში დაფრინავს“, „რეალურ ცხოვრებას“ მოწყვეტილია და „ფუჭად“ ფილოსოფოსობს – პატივეცით მის აზრს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაიკეტება, აღარ გენდობათ (ამისთვის თქვენი თუნდაც ერთი უტაქტო შენიშვნაც კი საკმარისი იქნება) და სრულიად მარტო დარჩება პასუხგაუცემელი კითხვების პირისპირ.

ზემოთ აღწერილი შემთხვევების საერთო მახასიათებელია ის, რომ მოზარდები, რომლებზეც ვსაუბრობთ, როგორც წესი, ნიჭიერები და კარგად განვითარებულები არიან. შექმნილ ვითარებას საკმაოდ მძიმედ განიცდიან. სულ სხვა შემთხვევაა, როცა **მოტივაციის დარღვევა ბავშვის არასაკმარისი გონებრივი განვითარების შედეგია**. აქაც იგივე სიმპტომები – სწავლის სურვილის დაკარგვა, ინფანტილიზმი, მაგრამ ვითარების გაცნობიერების და შინაგანი განცდის ხარისხი ასეთ ბავშვებში გაცილებით დაბალია.

ბავშვის განვითარება ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს. თუ გარკვეული მიზეზების გამო ასე არ ხდება, არასოდეს არის გვიან ამ მიმართულებით პოზიტიური ძალისხმევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადრეული ასაკიდან დაწყებული, მნიშვნელოვანია ბავშვის ზიარება ლიტერატურასთან, მუსიკასთან და სპორტთან, მისთვის ხელოვნებისა და ბუნების სილამაზის აღქმაში დახმარება. შემეცნების დაბალი აქტივობის მქონე ბავშვებს ისეთი სფერო უნდა შევურჩიოთ, რომელიც დააინტერესებთ და გაიტაცებთ. შეუძლებელია, ბავშვს ერთი რაღაც მაინც არ გამოსდიოდეს კარგად. ამგვარად მას საქმისადმი სიყვარული და პატივისცემა გამოუმუშავდება, შედეგი – თვითშეფასებისა და მოტივაციის ამაღლება. ასეთ ბავშვებს სათანადო პირობები უნდა შევუქმნათ ისეთი თვისებების გამოსამუშავებლად, როგორიცაა: პასუხისმგებლობა და თვითრეგულაცია (თვითდისციპლინა). იდეალური იქნება, თუ რაიმე ხელობას დაეუფლებიან, ხშირად, ბავშვები, რომლებიც ინტელექტუალურ მეცადინეობას თავს ვერ ართმევენ, საუკეთესო ოსტატები დგებიან.

ბოლო ვარიანტი – **ბავშვები, რომელთა მოტივაცია მშობლების მიერ იქნა დარღვეული**. როგორ? ისეთი საქმიანობის ან მიზნის თავსმოხვევით, რომელიც მისთვის უცხო და არასასურველია. რატომ არის ბავშვი წარმატებული მხოლოდ იმ სფეროში, რომელსაც თვითონ ირჩევს? იმიტომ, რომ ნებისმიერი უნარ-ჩვევის დაუფლება – ინსტრუმენტზე დაკვრა, ცურვა, უცხოური ენის შესწავლა... – საკმაო დატვირთვას მოითხოვს, ბავშვი საკუთარ თავსაც უნდა მოერიოს. ამისთვის ძალას სასურველი მიზნის მიღწევის სიხარული მატებს, ფიქრებში რომ წარმოუდგება ხოლმე. სწორედ ამის წარმოდგენა „ათბობს“ მის სამომავლო გეგმებს. მხოლოდ საკუთარმა ოცნებამ შეიძლება „გაგათბოს“, სხვის ოცნებასა და სურვილს შეიძლება პატივიც სცე და მისაღებიც იყოს, მაგრამ შენი ვერასოდეს გახდება. საკუთარი ოცნება და სურვილი ის რესურსია, რომელიც ნებისმიერ დატვირთვას აგატანინებს. როდესაც მოტივაციის ეს ფაქტორი მოქმედებს, დაღლილობას ვეღარ გრძნობ, ტყუილად ხომ არ ამბობენ საკუთარი საქმიანობით გულწრფელად გატაცებულ ადამიანზე – „ფრთები შეესხაო“.

სწორედ მიზნის მისაღწევად საჭირო დატვირთვასა და ამისთვის საჭირო ძალების უქონლობას შორის შეუსაბამობა აყალიბებს „მოტივაციის რღვევას“. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვაიძულოთ ბავშვი, დაკავდეს ისეთი საქმიანობით, რაც მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მას კი ეს საქმიანობა არ მოსწონს. როგორც წესი, ბავშვები ხანგრძლივ გაძლიერებულ დატვირთვას (სხვადასხვა წრეები, კურსები თუ რეპეტიტორები) ვერ უძლებენ. შეიძლება მათ იძულებითი სამუშაო შეასრულონ, მაგრამ შედეგი არაფრით გამორჩეული, საშუალო იქნება. ეს განსაკუთრებით სამწუხარო იქნება თვითონ მოზარდისთვის, რადგან ის მიდრეკილებები, რაც მისი სულის სიღრმეშია, სამუდამოდ გაუცნობიერებელი დარჩება და მათი რეალიზება ვერასოდეს მოხდება. არადა, სწორედ ეს მიდრეკილებები, იქნებ ნიჭიც კი, ბავშვისთვის უდიდესი სიხარულის მომტანი იქნებოდა.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ბავშვის მიდრეკილებების უგულვებელყოფა და მისი ინტერესებისადმი უყურადღებობა საკუთარი თავის, ცხოვრების მიზნისა და ამოცანის შეცნობის უნარს კლავს, ის ვერასოდეს შეძლებს წარმატებულ და ბედნიერ ადამიანებთან, როგორც თანასწორებთან, ურთიერთობას. ხშირად ზრდასრული ადამიანები საკუთარი პროფესიით უკმაყოფილონი არიან, თუმცა ვერც იმას აცნობიერებენ, რომელი პროფესია იქნებოდა მათთვის სასურველი...

ეს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა საკმაოდ მტკივნეულია და ხშირად დეპრესიის მიზეზიც ხდება. ასეთი ადამიანი პრობლემის მიზეზს ვერ წვდება, მიზეზი კი – თავის დროზე მშობლების მიერ მისი მიზნის, შესაბამისად, მოტივაციის ჩანაცვლებაა. მოზარდებისთვის დამახასიათებელია მათი ასაკისთვის ბუნებრივი ამბიცია, რაც ერთგვარი ლოკომოტივივით წარმართავს სწავლის პროცესს. ამბიციები, გარკვეული თვალსაზრისით, ენერგიაა, მაგრამ უფრო დაბალი ხარისხის, ვიდრე – ცოდნისკენ სწრაფვა.

მოტივაციის ყველა ფაქტორი, გარდა ბუნებრივისა, რომელიც ადამიანს შინაგანად ახასიათებს (შეცნობისა და შექმნის სურვილი), თავისი შინაარსით იძულებითია და აღიქმება, როგორც დატვირთვა. ბავშვი აიძულო, აკეთოს ის, რაც არ მოსწონს და არ აინტერესებს, მორალური (ხშირად ფიზიკური) ტანჯვის ტოლფასია, ამავდროულად, კლავს ბუნებრივ მოტივაციას – მიდრეკილებებს და სურვილს, აღმოაჩინონ და აკეთონ ის, რასაც თავად აირჩევენ და შეიყვარებენ.

საინტერესოა, რომ საქმის კეთება, რაც მოსწონს, მოზარდს სხვა საქმიანობის ძალასაც მატებს, ენერგიისა და შთაგონების ძლიერი წყარო ხდება. ბავშვი ხომ მრავალმხრივ განვითარებული უნდა გაიზარდოს. ადამიანს შემეცნების აქტიური სურვილი მაშინ უჩნდება, როცა საკუთარ თავში ამ საქმიანობისთვის ადეკვატურ უნარებს აღმოაჩენს, როდესაც მისი ინტერესები და შესაძლებლობები სრულ შესაბამისობაშია შემოქმედებით თუ შემეცნებით ამოცანებთან. კარგი შედეგი, არაორდინარული გადაწყვეტილება, შემოქმედებითი წარმატება ისეთ სიხარულს იწვევს, რომელიც ბავშვში შემდგომი ძიების სურვილს აჩენს. თუ თქვენი შვილი იმ ბედნიერ ადამიანებს განეკუთვნება, ვინც ბავშვობიდან იცის, რისი კეთება მოსწონს, მიიღეთ ეს, როგორც ბედის საჩუქარი და არავითარ შემთხვევაში არ შეუშალოთ ხელი.

მოზარდებთან მუშაობის პრაქტიკამ აჩვენა: თუ ოჯახში მათი სულიერი მოთხოვნილებები ესმით, მაშინ გარდამავალი ასაკისთვის დამახასიათებელი სირთულე და პრობლემები მათთვის უფრო იოლად დასაძლევია. თუ მშობელი ხელს უწყობს ბავშვის ცნობიერების გაფართოებას, ეს იმის გარანტიაა, რომ ეთიკურ, ზნეობრივ და სულიერ ღირებულებებთან ზიარების გზით მოზარდი განვითარების სწორ ვექტორს ადგას.

რთულ მოზარდებთან ურთიერთობა მშობლებისთვის ერთგვარი გამოცდაა – თავშეკავების, გაწონასწორებულობის, ასევე შვილის უპირობო სიყვარულის და კიდევ ბევრი სხვა თვისების. რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ, თქვენ შვილს საკუთარი გზა აქვს გასავლელი და, ასე თუ ისე, ეს გზა უნდა გაიაროს. პატივი ეცით მის არჩევანს. მხარში ამოუდექით, თუნდაც იმთავითვე ხვდებოდეთ, რომ ცდება. სწორედ ამ მხარდაჭერით მისცემთ შესაძლებლობას, უკან მოიხედოს და შეცდომა გამოასწოროს.

გახსოვდეთ! ბავშვების გარეშე, მათ მაგივრად, გაკეთებული არჩევანი ყოველთვის ცუდი არჩევანია. მათი ცხოვრების გზა მხოლოდ მათივე პიროვნულ თვისებებს, ხასიათს, ბუნებრივ მიდრეკილებებსა და მონაცემებს უნდა ემთხვეოდეს. ნუ შეუშლით ხელს მათ თვითიდენტიფიკაციისა და მსოფლმხედველობის ფორმირების პროცესში, თქვენი პირადი შეხედულების გამო ნუ დაურღვევთ ბუნებრივ მოტივაციას.

მოამზადა
ლალი თვალაგეიშვილმა

კვლევა

გენდერი და საოჯახო როლები

„ჭეშმარიტად საწყალობელია დიაცი: თუ მიჯნურია, იგი იტანჯება მომეტებულად, თუ დედაა, იგი იჩაგრება, თუ კარგი ცოლია, წელში წყდება დედის, მეუღლისა და მიჯნურის ვალდებულებათა შეთავსებისას“.

კონსტანტინე გამსახურდია

უკანასკნელ წლებში გენდერულმა პრობლემამ პოპულარობა მოიპოვა. ქალი ცდილობს თავისი შესაძლებლობების განვითარებას და გამოვლენას. ამ პროცესში იგი ძალაუნებურად უპირისპირდება ქართულ ტრადიციებს, რაც ხშირად ოჯახურ კონფლიქტებს იწვევს.

ქალისათვის პრობლემა ასე აღიქმება: „განწირული იყოს მთელი ცხოვრების მანძილზე, წმინდოს მტვერი, რეცხოს ჭურჭელი, მარტომ შეასრულოს ერთი და იგივე საოჯახო სამუშაო თუ გავიდეს სახლიდან, დაინახოს ხალხი, მიიღოს ჯილდო თავისი შრომისათვის, შეიცვალოს საქმიანობა“ (Гендерные проблемы и развитие; М., Изд. „Весь мир“, 2002).

თვით ოჯახის სოციალური ბუნებიდან გამომდინარეობს სამეურნეო-ეკონომიკური ფუნქციების შესრულების სირთულე. ამ სირთულის დაძლევა შესაძლებელია როგორც ქალის, ისევე მამაკაცის მიერ მეუღლის, დედის, მამის, მეოჯახის როლებისა და ამ როლებთან დაკავშირებული რეპერტუარის, მოლოდინების გაცნობიერებით. როგორც აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი შენიშნავს: *„სოციალური ფსიქოლოგიისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ სოციალურ ჯგუფებს და მათში მიმდინარე ურთიერთქმედებებს, არამედ იმასაც, იღებს თუ არა პიროვნება შინაგანად როლს, როგორია მისი განწყობისეული დამოკიდებულება იმ რეალურ კავშირურთიერთობებთან, რომელშიც იგია ჩართული“* (შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 422).

ოჯახის ფუნქციების შესრულებისათვის მხოლოდ როლის ფლობა არ კმარა. აუცილებელია როლის მიღება. როლის მიღება-მიუღებლობა ბევრადაა დამოკიდებული უფლება-ვალდებულებათა დადგენაზე, იდეების, ნორმების, ღირებულებათა გაცნობიერებაღიარებაზე.

არ არსებობს დედობის, მამობის უფლება მოვალეობის გარეშე და დედობის, მამობის მოვალეობა უფლების გარეშე. თუ ქალისა და კაცის უფლების საზღვრებში შემოდის მეუღლეთა შორის შრომის სამართლიანი განაწილება, ეს უფლება ასევე სამართლიან მოვალეობასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს მათგან. ქალთა მოქალაქეობრივი თანასწორობა, მათი ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში, საოჯახო ურთიერთობებში მორალურ-ფსიქოლოგიური ღირებულებების წინ წამოწევა არღვევს მამაკაცისა და ქალის როლების ტრადიციულ სტრუქტურას. ეს რთული პროცესია, რომელიც მკვეთრად იჩენს ხოლმე თავს ოჯახურ ურთიერთობებში. პედაგოგიურმა მეცადინეობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ სირთულის დაძლევაში.

72-ე სკოლის ბებიებისა და დედების კლუბის რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად შევისწავლეთ უფროსკლასელთა შეხედულებები ოჯახური პრობლემების შესახებ.

საოჯახო შრომის სამართლიანად განაწილების საკითხში გოგონებისა და ბიჭების შეხედულებები მნიშვნელოვნად დასცილდა ერთმანეთს. გოგონების 70% და ბიჭების 35% მომხრეა ამ შრომის სამართლიანი განაწილების.

ბიჭების 85-მა პროცენტმა მამაკაცის საქმედ, ძირითადად, ჩათვალა საოჯახო ნივთების შეკეთება, პროდუქტების შეძენა. უფროსკლასელი ბიჭების, დაახლოებით, 78-მა პროცენტმა ქალის საქმედ მიიჩნია ბავშვების მოვლა, ბინის დასუფთავება, სადილის მომზადება, თეთრეულის რეცხვა. ამავე დროს, გოგონების 60% მიიჩნევს, რომ მამაკაცები უნდა მონაწილეობდნენ ბავშვების მოვლასა და აღზრდაში, საოჯახო საქმიანობაში.

უფროსკლასელ მოსწავლეთაგან არავითარ საოჯახო საქმიანობაში არ მონაწილეობს: ბიჭების 58% და გოგონების 35%. მისაღნიშნებელია ის გარემოება, რომ საოჯახო დავალებებს ბიჭებიცა და გოგონებიც ასრულებენ იძულებით, მხოლოდ მაშინ, როცა დედა მოითხოვს.

საოჯახო შრომაში მხოლოდ ქალის დასაქმების ტრადიცია დრომოჭმულად მიაჩნია ბიჭების მხოლოდ 32%-ს. ამავე დროს, ბიჭების 15% მიიჩნევს, რომ საოჯახო შრომაში მამაკაცის მონაწილეობა მის ავტორიტეტს ამცირებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ბიჭების 65% გრძნობს, რომ ქალი ოჯახში ძალიან დატვირთულია, რაც მის გაღიზიანებასა და გადაღლას იწვევს. ეს კი ამცირებს მის ყურადღებას როგორც საკუთარი თავის, ასევე ქმრისა და შვილების მიმართ.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ როგორც ბიჭები – 52%, ისე გოგონები – 68%, აუცილებლად მიიჩნევენ საოჯახო შრომის „გარეთ გატანას“.

გამოკითხვის შედეგების პრეზენტაციის შემდეგ უფროსკლასელები იწყებენ კამათს:

ნუგზარი: მოდით, ასეთი გამოთქმა ვიხმაროთ – „ცოლქმრული სიყვარულის მაჩვენებელი“. აი, ამ მაჩვენებელში უნდა ეკავოს თუ არა რაიმე ადგილი ჭამა-სმას, ხომ არ აუბრალოებს ეს სიყვარულს.

ვაჟა: თქვენ სულიერსა და მატერიალურს ადგილს ვერ უძებნით. ჭამა-სმა სიყვარულის გვერდით კი არა, მის წინ უნდა დააყენო. განა შეიძლება მშიერი კუჭით სიყვარული? განა ამ სიყვარულისთვის არ უნდა აკეთებდეს ქალი გემრიელ სადილს?

ნანა: მაშ, ჯერ გემრიელი საჭმელი, რომელიც მაინც და მაინც ქალმა უნდა აკეთოს სიყვარულისთვის?!

თენგიზი: ასეთმა მიწიერმა სულაც არ უნდა შეგვაშინოს. ვახტანგიც ისე ფიქრობდა, როგორც ლია – საჭმელი კულტად არ უნდა ექციათ, მაგრამ არ გამოვიდა. დედის ოჯახში როცა ცხოვრობდნენ, ხომ კეთდებოდა სადილი, ხომ მოსწონდათ. ე.ი. იქ სხვა აკეთებდა სადილს. როცა ცალკე დაიწყეს ცხოვრება, თვითონ უნდა გაეკეთებინათ – ეს უკვე აღარ მოეწონათ (მოსწავლეები მსჯელობენ დიდაქტიკური მასალის „ერბოკვერცხი ხახვით“ შინაარსიდან გამომდინარე (ჟურნალი „სტუდენტური მერიდიანი“, №9, 2010).

ლევანი: ვახტანგი იმაშია დამნაშავე, რომ მას საერთოდ არ უნდა გაეკეთებინა საჭმელი.

გია: ვახტანგმა ალბათ იმიტომ გააკეთა საჭმელი, რომ ახალგაზრდა ცოლს აგრძნობინა, – სახლში გაკეთებული საჭმელი გემრიელი და ეკონომიურია და შენც უნდა გააკეთოო.

თამრიკო: იქნებ არ იყვნენ ეკონომიურად ისეთ დონეზე?

ნოდარი: დავუშვათ არ იყვნენ. იმ სადილის გაკეთებას სახლში მაინც თავისი დანიშნულება აქვს. ჯერ ერთი გემრიელია და მეორეც რაღაც სითბოთი და სიმყუდროვით ავსებს ოჯახს, ვახტანგი ხომ ამბობს: მომბეზრდა ძეხვი და კონსერვები, ხომ შეიძლება ერბოკვერცხი ხახვთან და პომიდორთან.

მაია: ასე გემრიელად რომ ეჩვენებათ მამაკაცებს შინ გაკეთებული სადილი, რატომ არ აკეთებენ თვითონ? რატომ ეძნელა ვახტანგს დაფნის ფოთოლთან და მწვანილთან ერთად ჩაშუშული კარტოფილის გაკეთება? რატომ გავარდა სახლიდან? მე ძალიან მომეწონა პოეტ ია სულაბერიძის ლექსი „მუქარა“. ზეპირად ვიცი:

ვარ გადაცმული დიასახლისად,
ვდიასახლისობ: ვრეცხავ, ვამზადებ,
ვაუთოებ და ვკეცავ ფაქიზად,
თან გემუქრები: ცოტა მაცადე!
შენ რომ გგონივარ რამის მაქნისი,
ეს – თავს გაჩვენებს რამის მაქნისად,
რისი-რომელი დიასახლისი!
გადაცმული ვარ დიასახლისად!
გადაცმული ვარ, როგორც წყნეთელი
(ის: ქალი – ლომად, მე: ლომი – ქალად),
მოხეტიალე და მუშკეტერი,
მუშკეტს, წინსაფრის კალთის
ქვეშ ვმალავ.
ცოტა მაცადე! თუ დასრულება
ამ უცხო როლის ღმერთმა მაღირსა!..
არ გავჩენილვარ მე ამ როლისთვის,
– დროებით შეგრჩი დიასახლისად!

შოთა: რა თქმა უნდა, მთელი სამეურნეო საქმე ქალს არ უნდა აწვეს მხრებზე. მამაკაცი უნდა დაეხმაროს, მაგრამ გააჩნია რაში? ან როგორ მიიღებს ქალი ამ დახმარებას? ზოგიერთი ცოლი ცდილობს ყველაფერში დაიხმაროს ქმარი, მაგრამ თუ მოუნდა, დაუწუნებს. არ მიმაჩნია სწორად კაცი ჭურჭელს ან სარეცხს რეცხავდეს. ჩემი აზრით, კაცს მეტი ხელფასი უნდა ჰქონდეს და ეს „მეტი“ ოჯახმა დახარჯოს სარეცხის გასარეცხად და იატაკის მოსაწმენდად.

მზია: როგორ ფიქრობ, რა იდეალური პირობებიც უნდა ჰქონდეს ქალს, ოჯახში საქმე გამოილევა? რომელიმე თქვენგანზე ნაკლებია არნოლდ შვარცნეგერი? იგი ცნობილი მსახიობი და კალიფორნიის შტატის გუბერნატორია, მაგრამ სიამოვნებით აცხადებს: „ბავშვებისთვის დრო არ უნდა შეგენანოს, გეჭიროს ბავშვი ხელში, ისმენდე მის ტირილს, უცვლიდე საფენებსაც კი, – ეს ხომ უდიდესი სიამოვნებაა. თუმცა ცოლი მეუბნებოდა ხოლმე, რომ ამ საქმეს კარგად არ ვაკეთებდი“. ისიც წარმოიდგინეთ, რომ პოპულარულ მსახიობს 4 შვილი ჰყავს.

გიორგი: რა თქმა უნდა, მამაკაცი უნდა ეხმარებოდეს მეუღლეს ბავშვის გაზრდაში – ასეირნოს, წაიყვანოს ბაღში. თუ დედა შინ არ არის, აჭამოს, გამოუცვალოს კიდეც, მაგრამ თუ შინ არის, რატომ უნდა აკეთოს ეს ყოველივე?

თინიკო: მეც ასეთი აზრი მაქვს. სულაც არ არის საჭირო, კაცმა წინსაფარი აიფაროს და ჭურჭელი რეცხოს. ამით ის დამცირდება ჩემს თვალში. მაგრამ უფრო დამამცირებელია კაცისათვის, როცა სავარძელში ნებივრობს, ტელევიზორს უყურებს, ქალი კი ამ დროს საოჯახო საქმეში იხრჩობა, თუ მოისურვებს, გამოძებნის კიდეც სათავისო საქმეს.

ნატო: გეთანხმები, მამაკაცი უსაქმოდ არ უნდა იჯდეს, მაგრამ რატომ მაინც და მაინც თავისი შესაფერისი საქმე უნდა მოძებნოს? იქნებ ოჯახში ჩვილი ბავშვია, დედა ხომ სულ მასთან უნდა ტრიალებდეს? როგორ, კაცს ლობიოს გაკეთება ან ერბო-კვერცხის შეწვა მაინც არ უნდა შეეძლოს? იქნებ ჩვილი ბავშვის საწოლთან თეთრად გათენებული ღამეები, მასზე გაუთავებელი ზრუნვაც დიდ როლს ასრულებს დედაშვილურ სიყვარულში? იქნებ მამაშვილურ სიყვარულშიც ასევე დიდი როლი ითამაშოს პატარაზე ზრუნვამ, ამაგმა? იქნებ ამიტომაცაა, რომ განქორწინების შემთხვევაში შვილი, უმეტესწილად, დედასთან რჩება?

დისპუტის დასასრულს უფროსკლასელებს ვთავაზობთ ამერიკელი მწერლის, მეცნიერის შარლოტა პერკინს გილმანის წიგნიდან „ქალი და ეკონომიკა“ შემდეგ დებულებებს:

■ *ქორწინება ბრძოლაა ორ შეუთავსებელ გატაცებას – დედობას და კარიერას – შორის;*

■ *ქალის ეკონომიკური დაქვემდებარება მეტისმეტად უსვამს ხაზს სქესთა შორის სხვაობას;*

■ *ეკონომიკურმა დაქვემდებარებამ დაასუსტა, დააუძლურა და გამოფიტა ქალები.*

ჩვენ გვასწავლიან, რომ კაცებს ყველაზე მეტად უყვართ და სიამოვნებთ მეოჯახე ქალის ტიპი. ეს ისტორიის ერთ-ერთი მყვირალა ხუმრობაა. გულების მპყრობელი ზღაპრული დედოფლები, ათასობით ღვთისმოსავთა ქალღმერთები მზარეულები არ ყოფილან. თუ კაცს უყვარს თავისი ცოლი, ეს ხდება ოჯახისაგან დამოუკიდებლად და არა მის გამო.

ეკონომიკურად დამოუკიდებელი დედა, თავისი საზოგადოებრივი სამსახურის შემწეობით, ფართოდ განშტოებული და თავისუფალი, გაძლიერებული და განვითარებული, უკეთეს დედობრივ სამსახურს გასწევს, ვიდრე ეს ადრე იყო მისთვის შესაძლებელი.

გილმანმა ქალაქურ ბინებში „კოოპერატიული სამზარეულოების“ პროექტი შეიმუშავა.

საგულისხმოა, რომ გილმანის მიერ განჭვრეტილი პრობლემები დღესაც აქტუალურია: *„თუ თქვენ გყავთ ქალი ყუთში და იხდით ყუთის გადასახადს, ქალის დამოკიდებულება თქვენდამი შეიცვლება. იკარგება დემოკრატიის მომხიბვლელი აღფრთოვანება“.*

უფროსკლასელებს ვთხოვდით, ღრმად ჩაფიქრებოდნენ გილმანის ამ დებულებებს და თავიანთი მოსაზრებები წარმოედგინათ მშობელთა (დედები, მამები) კლუბში შეხვედრისას.

ნათელა ნატროშვილი
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, 72-ე საჯარო სკოლის დირექტორი

ინფორმაცია

გაკვეთილი მუზეუმში

დღესასწაული იყო ჩვენთვის, როდესაც ისტორიის მასწავლებელმა, ქალბატონმა **ბელა კუჭუხიძემ** გამოგვიცხადა, რომ საქართველოს ისტორიის მორიგ გაკვეთილს ჩაგვიტარებდა ვანში, ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიურ მუზეუმში, რომელიც 1985 წელს გაიხსნა. მუზეუმში დაცულია ვანის გათხრებში ნაპოვნი არქეოლოგიური ნივთები. ექვთიმე თაყაიშვილი წერდა გაზეთ დროებაში: „ვანის გათხრების შედეგად ნაპოვნი ნივთები უნდა ეკუთვნოდეს ელინისტურ კულტურას“. ვინაიდან გაკვეთილად უნდა გვქონოდა საქართველო ელინისტური კულტურის სივრცეში, ჩვენმა მასწავლებელმა გადაწყვიტა, ვანის არქეოლოგიური აღმოჩენის ფონზე, კონკრეტულ მაგალითზე, გაგვერკვია, რას ნიშნავს ელინისტური კულტურა.

12 ოქტომბერს არც ისე მზიანი დილა გათენდა, დილის 9 საათზე მიკროავტობუსით გავემართეთ ქალაქ ვანისაკენ. იქ მზიანი დღე დაგვხვდა, გულთბილად მიგვიღეს ვანის მუზეუმში. მასწავლებელმა ჩვეული ინტერესით აგვიხსნა საქართველოს როლი ელინისტური კულტურის სივრცეში. გაკვეთილის მსვლელობისას ჩაერთო გიდი, ქალბატონი **ნათია დარასელია**, რომელმაც უფრო დაწვრილებით დაგვიხასიათა იქ წარმოდგენილი ექსპონატები, სამარხებში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონები და ქვები, ბრინჯაოს სამუშაო და საბრძოლო იარაღები, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, მონეტები – ბერძნული, კოლხური თეთრი, ქანდაკებები: ქალღმერთ ნიკეას და არეადნეს, დიონისესა და სხვა სატირების სახის გამოსახულებები. მოვინახულეთ იქვე მდებარე არქეოლოგიური გათხრების ადგილი – „ახვლედიანების გორა“. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილია ტაძრის ნარჩენები, რომელიც მეორე ათასწლეულით თარიღდება. მთავარი ტაძარი სწორედ დიონისეს სახელობის უნდა ყოფილიყო. სამარხების მიხედვით ჩანს, არსებობდა კლასობრივი დიფერენციაცია. მდიდრები იკრძალებოდნენ მთელ რიგ სიმდიდრესთან ერთად, ღარიბები კი – ქვევრებში, რომელთაც ატანდნენ მინის და ვერცხლის სამკაულებს. ვანში არსებობდა პროფესიული ოქრომჭედლობის მძლავრი სკოლა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა ბრწყინვალე მხატვრულ ნიმუშებს: ოქროს საყურეებს, სამაჯურებს, სასაფეთქლეებს, გვირგვინებს, მძივებს, ბეჭდებს და სხვ. მუზეუმის დახმარებით თვალწინ გადაგვშალა ელინისტური კულტურა. გიდმა გვითხრა, რომ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს მუზეუმის დამაარსებელს, ბატონ ოთარ ლორთქიფანიძეს 80 წელი უსრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ვანში დაგეგმილი იყო მთელი რიგი ღონისძიებები, გათვალისწინებული იყო აგრეთვე სიმპოზიუმების ჩატარება. მუზეუმში სამახსოვრო სურათები გადავიღეთ. შთაბეჭდილებით დატვირთულები დავბრუნდით შინ. ეს დღე განსაკუთრებული იყო ჩვენს ცხოვრებაში.

ნოღოხაშის საჯარო საბაზო სკოლის IX კლასის მოსწავლეები

ახალი საგანი

ექსპერიმენტების სკოლა

სკოლებში სპორტის გაკვეთილების შემოღებას თბილისის 142-ე საჯარო სკოლაშიც (დირექტორი – **სოსო ლაგვილავა**) მიჰყვნენ და დროის მოთხოვნას დროულად აუბეს მხარი. მით უფრო – ამ სკოლას ისედაც დიდი სპორტული ტრადიციები აქვს და მათთვის ეს რთული არ იყო. მშობლებთან და მოსწავლეებთან მოთათბირების შემდეგ აქცენტი სათამაშო სახეობებზე – ფეხბურთზე, კალათბურთსა და ფრენბურთზე გააკეთეს, რადგან, ძირითადად, ტრადიციებიც და ბაზაც უფრო ამ სახეობებში აქვთ.

სპორტის გაკვეთილები, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, რამდენიმე ეტაპად იწყება – IV კლასამდე ყველასთვის საერთოა და ის საერთო მომზადებაში სპორტის ძირითად პრინციპებს ეყრდნობა, არჩეულ სახეობებში მეცადინეობები კი ამის შემდეგ ტარდება. ოღონდ ესეც დიფერენცირებულია – IV-VII კლასებში კალათბურთს ასწავლიან, VII-IX – ფეხბურთს, ზედა კლასებში კი – ფრენბურთს. ამ სისტემაზე გადასვლისას სკოლამ ექსპერიმენტებს მიმართა. კერძოდ, დიფერენცირება მხოლოდ VII კლასიდანაა ნებადართული, მაგრამ მათ ადრეევე გადაწყვიტეს გადასვლა, რადგან მიაჩნიათ, რომ ამა თუ იმ სახეობის ანბანის შესწავლა ადრეც შეიძლება, ხოლო VII კლასი უკვე დაგვიანებულია.

შემთხვევითი არც ისაა, რომ მეორე საფეხურზე, ანუ სპორტის დიფერენცირებული სწავლების პირველ ეტაპზე კალათბურთით იწყებენ – საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტის ეს სახეობა ხელს უწყობს სიმაღლეში ზრდას, მოქნილობას, ანუ აქცენტი ათლეტიზმზე გააკეთეს.

ექსპერიმენტია ისიც, რომ ცალკეულ ასაკში პარალელურ კლასებს ამ სახეობების არჩევის უფლება არ მისცეს და ყველა საერთო ჩარჩოში მოაქციეს. მაგალითად, კალათბურთი სავალდებულოა ამ ასაკის ყველა პარალელური კლასისთვის, ფეხბურთი – მეორე საფეხურის ყველა კლასისთვის და ასე შემდეგ. აქ მოტივი ასეთია – აჯობებს, ერთი ასწავლო და საფუძვლიანად, ვიდრე ყველაფერი – ცოტა-ცოტა და არასრულყოფილად. თუმცა, მთავარ სიახლედ ის მიმაჩნია, რომ სამივე არჩეულ სახეობაში, ვაჟებთან ერთად, გოგონათა გუნდებიც გააკეთეს. ოღონდ ისე ნუ გავიგებთ, თითქოს, იმ მოცემულ ასაკში არჩეული სახეობის გარდა სხვას არ ათამაშებენ. მაგალითად, მოსწავლეთა სურვილისამებრ, იმავე კალათბურთის სპეციალიზაციის კლასებში შეიძლება ფეხბურთიც ათამაშონ, ფრენბურთიც, სხვა სახეობაც და – პირიქით.

ბუნებრივია, ყურადღების მიღმა არც ის ბავშვები რჩებიან, რომლებსაც სპორტის სხვა სახეობები იტაცებთ. მით უფრო, ჰყავთ სხვა სახეობებში პროფესიულ დონეზე მოვარჯიშე ბავშვებიც. მათთვის სპორტის გაკვეთილების გვერდით სპორტული სექციები მუშაობს, სადაც კონკრეტული სახეობით დაინტერესებული ბავშვები ემზადებიან. ჯერჯერობით ეს სექციები უფასოა, მაგრამ სკოლაში არც მალავენ, რომ სამომავლოდ ასე გაუჭირდებათ და საბაზრო ეკონომიკის კანონები მათაც ფასიან სწავლებაზე გადასვლისკენ უბიძგებთ.

სპეციალისტთა მხრივ სკოლა წელგამართულია, რადგან აქცენტი „ნაცნობ“ სახეობებზე გააკეთეს და არც მასწავლებელთა ძებნა დასჭირვებიათ. ერთადერთი, მხოლოდ ფეხბურთის მწვრთნელი მოიწვიეს, დანარჩენები კი ადგილზე ჰყავდათ. ცხადია, სკოლაში იყვნენ ფიზკულტურის ისეთი მასწავლებლები, რომლებიც არჩეულ სახეობებში ვერ მოხვდნენ. ისინი დაწყებით კლასებში და ზემოაღნიშნულ სექციებში გადანაწილდნენ.

თუმცა ამ ყველაფრის გვერდით, სკოლისთვის ძალიან დიდი, ლამის მოუგვარებელი პრობლემაა სპორტული არენები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ადრეც დაგვიწერია, რომ ამ სკოლას ღია მოედნები, პრაქტიკულად, არ აქვს – ფიზიკურად რაც გააჩნიათ, „გზას ვამბობ, თორემ რა გზაას“ მდგომარეობაშია. იქ სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ჩატარება შეუძლებელია. სკოლას დახურული დარბაზი კი გაურემონტეს, რაც მათ მდგომარეობაში ძალზე დიდი შენაძენია, ამან მოსწავლეებსაც დიდი სტიმული მისცა, მაგრამ ამდენი ბავშვისთვის – ძალზე პატარაა. არენების პრობლემას ინვენტარის დეფიციტიც ემატება – საკუთარი სახსრებით მის შეძენას ვერ ახერხებენ და ისევ სამინისტროს იმედად არიან. სამინისტრო ინვენტარით იმ სკოლების მომარაგებას აპირებს, სადაც ბაზების კეთილმოწყობა დასრულდება, მაგრამ ჯერ სწორედ კეთილმოწყობის პროცესი არ დამთავრებულა და ინვენტარიც ამიტომ იგვიანებს. თუმცა, შეთანხმება ძალაშია და ამის იმედად არიან.

დაგვეთანხმებით, ეს ყველაფერი ფუჭად ჩაივლის, თუ მოსწავლეები შეჯიბრებებში ვერ გამოვლენ და ამაზეც იზრუნეს. როგორც სკოლაში გვითხრეს, მათი მოდელი სამინისტრომ სამაგალითოდ აიღო, არსი კი იმაშია, რომ პირველ სემესტრში სკოლაში ტარდება შიდა სასკოლო პირველობები, მეორე სემესტრში – რაიონული, საქალაქო და ბოლოს – რესპუბლიკური. უფრო დიდ ასპარეზზე გასვლის პერსპექტივა მოსწავლეებისთვის დამატებითი სტიმულია სპორტში ჩასაბმელად. ამასთან, ხელს უწყობს მათი მონაცემების წარმოჩენას.

ამ სკოლამ ჯერ კიდევ შარშან, დაამყარა ურთიერთობა საჩხერის რამდენიმე სკოლასთან, როცა იქაურობას აკაკი წერეთლის საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში ესტუმრა, წლეულს კი მათთან სპორტული პაექრობებიც იგეგმება. სკოლა ასევე მეგობრობს ვანკუვერის ოლიმპიადაზე ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ქუმარიტაშვილის მშობლიურ ბაკურიანის სკოლასთან. სპორტული ურთიერთობები მათ შორისაც დამყარდა.

ეს სკოლა ერთ-ერთი იყო იმათგან, რომლებიც უცხოელ ექსპერტთა მონაწილეობით საქართველოში ბავშვთა სპორტის განვითარების, სპორტში მოზარდთა ჩაბმის ეროვნული პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ. აქ რეფორმის არსს ძირითადად მიესალმებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მონაცემების წარმოჩენას, ამა თუ იმ სახეობაში, ადრეულ ასაკში. ამბობენ, ეს ყველაფერი ცხოვრებაში სრულყოფილად თუ გატარდება, ძალიან კარგი იქნება, მაგრამ შიშობენ, მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩესო. აქ კარგად ხედავენ ისეთი აუცილებელი ელემენტის საჭიროებასაც, როგორიც საკლუბო სისტემაა და რამდენიმე წლის წინ თვითონაც გააკეთეს, მაგრამ აქ უკვე საკანონმდებლო აბლაბუდაში გაიხლართნენ – კლუბს საკუთარი მოზიდული თანხებით უნდა ეარსება, მოსწავლეებში ფულის აკრეფის ნება კი არ ჰქონდათ. საერთოდაც, საკლუბო სისტემა მაღალი მიღწევების სპორტში, სპორტული ფედერაციების საქმიანობაშიც კი „აქილევსის ქუსლია“ – მართვის ძველებურ მიდგომებს მიჩვეული ქართული მენტალიტეტი დასავლურ სისტემას აქამდე ვერ ეგუება, მაგრამ გამოსავალი ამაშია.

როგორც გითხარით, სკოლაში რეფორმას მიესალმებიან, თუმცა ყურადღება ისეთ პრობლემებზეც გაამახვილეს, რაც საყოველთაო ვითარების ბრალია და მას სხვაგვარი, ბევრად ფართომასშტაბიანი რეფორმა სჭირდება. მაგალითად, სკოლა ვერაფრით დააკმაყოფილებს საცურაო სახეობებით დაინტერესებულ მოზარდთა მოთხოვნებს, რადგან საცურაო აუზი არათუ ამ სკოლაშია პრობლემა, ზოგადად – მთელ ქვეყანაში. საცურაო აუზი ახლომდებარე სკოლებშიც კი არ აქვთ. მათ არ უთქვამთ, მაგრამ, ალბათ, იგივე პრობლემა იქნება მძლეოსნობაშიც – ქვეყანაში სარბენი ბილიკების და მძლეოსნური დარბაზების დიდი დეფიციტია, რაც პირდაპირ ურტყამს ქართულ სპორტს, ვინაიდან „სპორტის დედოფალი“ ყველა სახეობას სჭირდება. როცა ლაპარაკია 21-ე საუკუნის სკოლაზე, ეს პრობლემა, წესით, არ უნდა იდგეს. აქ ვერაფრით მივიღებთ შენიშვნას იმის შესახებ, მსოფლიოს უძლიერეს სტაიერად მიჩნეული ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ეთიოპიელი მარათონელი **აბებე ბიკილა** მთელი ცხოვრება ფეხშიშველი დარბოდა და თავის მეორე ოლიმპიადაზე – 1964 წელს, ტოკიოში, შუა დისტანციაზე გაიძრო ფეხსაცმელები და სირბილი ისევ ფეხშიშველმა გააგრძელა; ვერც სხვა აფრიკელი მორბენლების – **მოზეს კიპტანუის, კეინო კიპჩოგეს** და სხვათა მაგალითს მივიღებთ იმის შესახებ, რომ ისინი მშობლიურ სოფლებში ჩვეულებრივ მინდვრებში დარბოდნენ – იქ 21-ე საუკუნის სკოლებზე არცაა ლაპარაკი.

ირაკლი თავაძე

კვალი ნათელი

პოეტური რეჟისურის ხიბლი

გიამბობთ დიდი ხნის წინანდელ ამბავს: ხარაგაულის საშუალო სკოლაში დიდი ფუსფუსია. სკოლის დრამატული წრე პრემიერისთვის ემზადება. სკოლის წინ ხელნაწერი აფიშაა გამოკრული: „სკოლასთან არსებული დრამატული წრე წარმოგიდგენთ ახალ სპექტაკლს: „დონ-ჟუანი“.

საღამოს ექვსი საათისთვის დარბაზი ივსება პედაგოგებით, მოსწავლეთა მშობლებით, ნაცნობებით, მეზობლებით.

რეჟისორის ჩანაფიქრით, ერთ-ერთ ეპიზოდში, მთავარმა გმირმა ხელით უნდა აიტაცოს სატფრო, მაგრამ რეჟისორის ჩანაფიქრი მარცხით მთავრდება, გმირს სატრფო ხელიდან უვარდება, რაც მაყურებელთა გულიან სიცილს იწვევს.

როგორც იტყვიან „ის დღე იყო და ის დღე“, მეცხრეკლასელი იური კაკულია თავს ანებებს მსახიობობაზე ოცნებას და სკოლის დამთავრების შემდეგ, ფრიადოსნობის ატესტატი, დედის სურვილით, სამედიცინოზე შეაქვს, მერე კი ბაბუას დაჟინებული თხოვნით, უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ინაცვლებს, მაგრამ ბავშვობის ოცნება მაინც არ ასვენებს და ახლობლების მალულად თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. დოდო ალექსიძისა და გიორგი ტოვსტონოგოვის ხელმძღვანელოებით წარმატებით ამთავრებს ინსტიტუტს და სწავლას აგრძელებს მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე.

1952 წლიდან, უკვე პროფესიონალი რეჟისორი სამშობლოში ბრუნდება და იწყებს აქტიურ მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა თეატრებში.

მისთვის მნიშვნელობა არ აქვს სად ექნება შემოქმედების საასპარეზო – პერიფერიაში თუ დედაქალაქში, ყველგან სიხარულით მიდის სადაც კი ხუმრობენ. იგი ხან მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორად გვევლინება, ხან რუსთაველის, სოხუმის, ქუთაისის, ახმეტელის, პანტომიმის, ჭიათურის, გორის თეატრების მთავარ რეჟისორად, სამხატვრო ხელმძღვანელად და დირექტორად, თანაც თეატრალური ინსტიტუტის და კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგად.

კ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, ვ. მაიაკოვსის „აბანო“ და „წითელი ეშმაკუნები“, რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“, ი. ოტრეჩენაკის „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი“, ი. ჭავჭავაძის „კეთილი მეზობლები“, ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია დედა“, ბ. ვასილიევის „განთიადი კი აქ წყნარი იცის“, თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ და „ბუდე მეცხრე სართულზე“, ლ. ტოლსტოის „კაზაკები“, ა. ყაზბეგის „განკიცხულნი“ („მამის მკვლელის“ მიხედვით), ა. არბუზოვის „ძველმოდური კომედია“, „ზარები გრიგალში“ (კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ მიხედვით), ს. მარშაკის „წელიწადის თორმეტი თვე“, აკ. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და „გზა, ყარამანს ქალი მოჰყავს“, ალ. ჩხაიძის „სამიდან ექვსამდე“, ჯ. სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, ო. ჩხეიძის „ვისია, ვისი“, ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“ და „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“, სოფოკლეს „ანტიგონე“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, გ. ხუხაშვილის „გზები“, მ. ხეთაგურის „თეთრი პალატა“, ჯ. ოსბორნის „მოიხედე მრისხანების ჟამს“, კ. ლორთქიფანიძის „მთას დაუბრუნდა მთიელი“, ედუარდო დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება“, „ბაზალეთის ტბის ძირას“ (ი. ჭავჭავაძის მიხედვით), ბ. ბრეხტის „დედილო კურაჟი და მისი შვილები“ და სხვ.

დ. კლდიაშვილის „უბედურებისა“ და „მსხვერპლის“ დადგმისათვის აჯილდოვებენ ა. პოპოვის სახელობის მედლით, ხოლო ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის“ განხორციელებისათვის –კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიით.

ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილია იური კაკულიას მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა თეატრში დადგმული სპექტაკლებისა და დამეთანხმებით, ერთი რეჟისორისათვის საკმაოდ ვრცელი სიაა. ალბათ იმაშიც დამეთანხმებით, რომ ყველა სპექტაკლი თანაბარი დონის არ იქნებოდა, მაგრამ ამ დადგმებში გამჟღავნებული პოეტურობა, რომანტიკა, ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, სათქმელის ოსტატურად შერჩეული ფორმა, რეჟისორის მაძიებელი სული, ულევი ფანტაზია და განსაცვიფრებელი მიგნებები გულგრილს ვერავის ტოვებდა და მაყურებელი უმრავლეს შემთხვევაში ნამდვილი დღესასწაულის მოწმე და მონაწილე ხდებოდა.

სოხუმის თეატრში ყოფნის პერიოდში მქონდა ბედნიერება ბატონი იურის მიერ დადგმულ რამდენიმე სპექტაკლში მიმეღო მონაწილეობა. მინდა გავიხსენო, როგორ დავიწყეთ მუშაობა მაიაკოვსკის ცნობილი პიესის „აბანოს“ დადგმისათვის: დასი უარყოფითი დამოკიდებულებით შეხვდა რეჟისორის არჩევანს. ბატონ იურის ჩვენთან კამათი არ გაუმართავს, დუმილით დაგვშორდა, რამდენიმე ცდის შემდეგ კი ბაღდათიდან მოიწვია მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის დირექტორი, პოეტის შემოქმედების ცნობილი მთარგმნელი მიქელ პატარიძე – წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცი დიდებული ხმით, რომელმაც დაწვრილებით გაგვაცნო მაიაკოვსკის ცხოვრება და შემოქმედება დაბადებიდან ტრაგიკულ დასასრულამდე და წაგვიკითხა პოეტის ნაწარმოებთა მისეული თარგმანები. მოხდა სასწაული, მეორე დღიდან ერთმანეთს ხელიდან ვტაცებდით მაიაკოვსკის ჩვენ ხელთ არსებულ ორიოდე კრებულს და ბატონ იურის ვთხოვდით, რაც შეიძლება მალე დაგვეწყო მუშაობა.

დადგა ნანატრი პრემიერის დღეც. ეს იყო ნამდვილი ზეიმი, ბრწყინვალე ფეიერვერკი, სადაც ერთნაირად ბრწყინავდნენ როგორც მთავარი როლების შემსრულებლები, ისე მასიურ სცენებში მონაწილე მსახიობები.

რეჟისორმა სპექტაკლში შემოიყვანა აბსტრაქტული პერსონაჟები, მაგალითად: თავისუფლება, კაპიტალიზმი, თვითკრიტიკა და ა.შ. ყველა მსახიობს უფლება ეძლეოდა, როგორც სურდა ისე წარმოედგინა თავისი სიმბოლური გმირი, როგორც გარეგნულად, ისე ფიზიკური მოქმედებით. თითოეულმა მსახიობმა ისეთი ფანტაზია გამოავლინა, რომ ყოველი მათგანის გამოჩენა მაყურებელთა მქუხარე ტაშს იმსახურებდა. სპექტაკლის სანახავად მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოვიდა სატირის თეატრის მსახიობთა ჯგუფი, სპექტაკლით აღტაცებულებმა გულწრფელად აღიარეს, რომ ჩვენი დადგმა ბევრად უფრო საინტერესოდ იყო გადაწყვეტილი, ვიდრე მათი, როგორც რეჟისურის, მუსიკისა და მხატვრულად გაფორმების თვალსაზრისით, ისე მსახიობთა მიერ შესრულებული სახეებით.

იური კაკულიას შემოქმედებითი წარმატების თავი და თავი მისი პიროვნული თვისებები იყო (ეს ჩემი სუბიექტური აზრია): ღვთითბოძებული ნიჭი, დაუშრეტელი ენერგია, ულევი ფანტაზია, ჯანსაღი იუმორი, ბედნიერებისადმი სწრაფვა, სიცოცხლის სიხარული ბუნებრივად ერწყმოდა და წარმატებით ვლინდებოდა მის სპექტაკლებში.

ბატონი იური სულ შეყვარებული იყო და მუდამ გულწრფელი. დაუფარავი აღტაცებით შესცქეროდა ყველაფერ ლამაზს და მშვენიერს, ჩვეულებრივ ჩარჩოებში ვერ ეტეოდა, კი არ დადიოდა, თითქოს, დაფრინავდა. მისი ბავშვური სილაღე და თავისუფლება ზოგიერთებისთვის გაუგებარი და მიუღებელი იყო, რადგან ბუნებამ ყველას ერთნაირად როდი უწილადა განუმეორებლობის უნარი.

უნებურად მახსენდება ზურაბ კაკაბაძის ერთი მშვენიერი ლექსი:

„ეცადე სხვას ჰგავდე და სულის კედელზე
ღამე აიშალე ბნელი და შავფრთება,
არ გეპატიება იყო უკეთესი,
ცხოვრებას უყვარს გათანაბრება.
ფრთები დაიჭერი, დაები მარნუხით,
თვალებს ნუ აინთებ ბრწყინვალე მთიებად,
მაღლა ამოხედვა უმძიმთ და აწუხებთ,
შენ შენი სიმაღლე არ გეპატიება.
დასთმე შენ ოცნება და აზრის დიდება
და მწვერვალებისაკენ არწივის გაფრენა...
გახსოვდეს,
გახსოვდეს,
არ გეპატიება
ცხოვრებას უყვარს გათანაბრება.“

იური კაკულიამ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ფრთები და თვალებში მთიების ბრწყინვაც, ვიდრე სიკვდილის შიკრიკებმა არ დაუხურეს ცხოვრების კარი.

თინათინ ელგაძიძე

ინკლუზიური განათლება

ერთად შევიცნოთ სამყარო

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარების, ჯანმრთელობის, განათლების პირობების გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით, ახორციელებს პროექტს „ჩვენ ერთად ვართ“, რომლის მიზანია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

25 ოქტომბერს, გალერეა „ჰობი-ში“, პროექტის „ინკლუზიური განათლება – ჩვენ ერთად ვართ“ ფარგლებში გამოცემული საინფორმაციო გზამკვლევის პრეზენტაცია და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ფოტოგამოფენა გაიმართა.

პრეზენტაციის ორგანიზატორია აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“.

საინფორმაციო გზამკვლევში შესულია ყველა საჭირო ინფორმაცია და რჩევები ოჯახებისათვის, განათლების სპეციალისტთა და საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ინკლუზიის მიმართულებით, ასევე ბავშვთა უფლებების დაცვის კვირეულთან დაკავშირებით, 35-მდე შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე ბავშვების ბოდბეს დედათა მონასტერში წმინდა ნინოს საფლავზე სტუმრობის ამსახველი ფოტომასალა. პროექტის ორგანიზატორებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინტეგრირებულ ჯგუფს ბოდბეს სამონასტრო კომპლექსი დაათვალიერებინეს; ბოდბეში გატარებული დღე დაუვიწყარი იყო ამ ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის. ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილი სურათები ამის ნათელი მაგალითია. აი, რას წერს ერთ-ერთი მშობელი პროექტის შესახებ, ამონარიდი საინფორმაციო გზამკვლევიდან – *„მყავს 1-ლი ჯგუფის ინვალიდი შვილი. ჩემს შვილს მხოლოდ სასწაული თუ უშველის. თუმცა ეს სასწაულიც ხდება... აფხაზეთის განათლების სამინისტრომ ასეთი ბავშვები წაიყვანა ბოდბეს წმინდა ნინოს ეკლესიაში. ამით მშობლებისა და შვილების თვალებში იმედის სხივი ააკიაფეს. აფხაზეთის განათლების მინისტრმა დალი ხომერიკმა ბუნების წიაღში მოგვიწყო სახელდახელო კონცერტი, ყველაზე მოულოდნელი კი ის იყო, რომ საჩუქრებიც დაურიგეს თითოეულს. ჩვენი შვილები ასეთი მოპყრობით განებივრებულები არ არიან. დიდი მადლობა ამისათვის. ღმერთმა კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე გაგაკეთებინოთ“.*

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო პროექტის გაგრძელებას მომავალშიც აუცილებლად აპირებს.

გალერეის დარბაზში მოეწყო კულტურული ცენტრის „თანადგომა“ (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) აღსაზრდელთა მიერ ხელნაკეთი ნივთების და თანამედროვე მხატვრების (**ზურაბ კოკაია, დავით ბაძაღუა, ზურაბ ჭედია, გიზო ხუბუა, ირაკლი მიზრახბერია, ვალერი ჩარგაზია, ელდარ ქავშბაია, ავთო შენგელია**) სხვადასხვა თემაზე შესრულებული 25-მდე ნახატის გამოფენა-გაყიდვა. შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას.

პრეზენტაცია გახსნა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსმა **მანანა ქვაჩახიამ**.

დალი ხომერიკი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი: *„სამინისტროს მიზანია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ფსიქორეაბილიტაცია. ძალიან ბევრი ბავშვი მრავალმხრივი ნიჭით არის დაჯილდოებული და ხშირ შემთხვევაში მათ არა აქვთ თავიანთი პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობა. დღევანდელი ღონისძიება სწორედ ამას ემსახურება. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ შარშან დაიწყო ინკლუზიური განათლების პროექტი, რომლითაც გვინდა შევუერთდეთ საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის პროექტს ინკლუზიური ბავშვების დასახმარებლად. დღეს ამ დარბაზში გამოფენილია რამდენიმე ღონისძიების ამსახველი ფოტომასალა, ასევე აფხაზეთის მხატვრების ნამუშევრები. ეს არის საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვებმა იგრძნონ, რომ ჩვენ ყველანი მართლაც ერთად ვართ, ვზრუნავთ მათზე და ასევე იმაზე, რომ ბავშვებმა მიიღონ განათლების ის პირობები და საჭიროებები, რაც თანამედროვე სამყაროს შეესაბამება. სამინისტროს ეგიდით, ეს არის პირველი გამოფენაგაყიდვა, თუმცა ჩვენს პარტნიორებთან ერთად, სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, უკვე განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. პროექტი მიმდინარეა და წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, ყურადღებას მივადევნებთ და მათ საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებს შევქმნით. სამინისტროს ინიციატივით დავიწყეთ აფხაზეთიდან დევნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების რეგისტრაცია. სამწუხაროდ, სრული სტატისტიკა, ჯერჯერობით, არ არსებობს. ვმუშაობთ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად იმისთვის, რომ დავადგინოთ კონტინგენტი და გავითვალისწინოთ მათი საჭიროებები. საინფორმაციო გზამკვლევი დარიგდება უფასოდ. გამოვთქვამ იმედს, რომ ეს მიზანი გაგვაერთიანებს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს და ერთობლივი ძალებით განხორციელებული სპეციალური პროგრამები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გონებრივი და ფიზიკური აქტივობის გაზრდას, სოციალური ინტეგრაციის პროცესს და მათ კეთილდღეობას ჩვენს ქვეყანაში.“*

პრეზენტაციაზე ქალბატონმა დალიმ, სამინისტროს ინიციატივით, ინვალიდ გოგონას საჩუქრად ეტლი გადასცა. აღსანიშნავია, რომ ამ ინიციატივის განხორციელებაში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კავშირის თავმჯდომარე **სვეტლანა ჩოჩუა** დაეხმარა.

ნონა მუმლაძე, ნინი კიკალიას დედა: *„ჩემი გოგონა 7 წლის არის. ძალიან უჭირს სიარული, მაგრამ საშუალება არ მქონდა, რომ ეტლი შემეძინა. ზაფხულში ბავშვი ურეკში მყავდა, იქ გავიცანი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც დაინახა ჩემი მდგომარეობა, როგორ გვიჭირდა ეტლის გარეშე და დახმარებას დამპირდა. ორი დღის წინ დამირეკეს აფხაზეთის სამინისტროდან და მაცნობეს ეს სასიხარულო ამბავი. სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გადმოსაცემად. დიდი მადლობა ამ პროექტის ორგანიზატორებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც გულისხმიერებას იჩენს ასეთი ბავშვების მიმართ.“*

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს 202-ე უსინათლოთა სკოლა-პანსიონის ფოლკლორულმა ანსამბლმა „მზეწვიამ“.

თამარ მერებაშვილი, 202-ე უსინათლოთა სკოლა-პანსიონის დირექტორი: *„ჩვენ ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან. მათ მიერ მოწყობილ ინკლუზიურ პროექტებში აქტიურად ვმონაწილეობთ. დღევანდელ ღონისძიებაში შვიდი მოსწავლეა ჩართული. ისინი წარმოადგენენ მუსიკალურ ნომრებს. გვყავს ძალიან ნიჭიერი ბავშვები. ჩვენი სკოლის მოსწავლე მაიკო კუცია საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია.“*

მაიკო კუცია, *მე-9 კლასის მოსწავლე: „5 წლიდან ვუკრავ ფორტეპიანოზე. თავდაპირველად, ვსწავლობდი მე-2 მუსიკალურ სკოლაში, ახლა ნიჭიერთა ათწლედში გადავედი. დღეს უნდა შევასრულო ფრანც იოზეფ ჰაიდნის მე-12 სონეტის პირველი ნაწილი. მინდა, პიანისტი გავხდე“.*

ლალი ხატიაშვილი, 202-ე უსინათლოთა სკოლა-პანსიონის პედაგოგი: *„მაიკოს ათი წელია ვასწავლი. იგი ძალიან ნიჭიერი გოგონაა. ზეპირად სწავლობს ნოტებს, რადგან საქართველოში ბრაილის სამუსიკო სისტემა, ჯერჯერობით, არ გვაქვს. თუმცა, პიანისტი* ***თამარ შალვაშვილი*** *წასულია ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრაილის სანოტო ანბანის ჩამოსატანად და საქართველოში დასანერგად. აღსანიშნავია, რომ მაიკო 2011 წელს მიწვეულია ფესტივალზე – „შოპენის წელი უსინათლოებისთვის“, რომელიც პოლონეთში გაიმართება. ასე რომ, საგულდაგულოდ ვემზადებით ამ ფესტივალისთვის“.*

ინგა შარიქაძე, ბიბლიოთეკა-კულტურული ცენტრის „თანადგომა“ წარმომადგენელი: *„ჩვენი ორგანიზაციის მიზანს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება წარმოადგენს.*

დღევანდელ გამოფენაზე წარმოვადგინეთ საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოსა და შვედეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტების, ჩვენი ბენეფიციარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მიერ დამზადებული ხელნაკეთი სუვენირები“.

გია გვაზავა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: *„მინდა დიდი მადლობა გადავუხადო აქციის ორგანიზატორებს იმიტომ, რომ ამ ბავშვებს საოცარი სითბო და სიყვარული სჭირდებათ. ისინი გამორჩეული არიან, პირველ რიგში, თავიანთი სულიერებით, მათ უზომო სიყვარული შეუძლიათ. დამერწმუნეთ, ამ ადამიანებს აქვთ უნარი დაინახონ სამყარო. მათ აუცილებლად სჭირდებათ საზოგადოებაში ინტეგრირება. ეს არის ჩვენი უპირველესი მოვალეობა“.*

პრეზენტაციას ესწრებოდნენ: **ალექსი ხუროშვილი**, საქველმოქმედო ფონდის „მომავალი თაობის გადასარჩენად“ პრეზიდენტი; **ეკა გვალია**, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთი“ აღმასრულებელი დირექტორი; **გიორგი ძნელაძე,** „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ გამგეობის თავმჯდომარე და სხვები.

თამუნა ჭანტურია

პროფესიონალთა კლასი

ძნელია იყო მისაბაძი ადამიანი

დღიდან სკოლის გახსნისა (1965 წლიდან) 2010 წლამდე **ეთერ ქსოვრელი** თბილისის 130-ე საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად მუშაობდა. 23 ოქტომბერს მას დაბადებიდან 72 და სკოლაში მუშაობის 45 წელი შეუსრულდა.

ორმოცდახუთწლიანი დაუღალავი შრომის შემდეგ მან სკოლა დატოვა და მიუხედავად სკოლის დირექტორის, **ხათუნა ნებიერიძის** დაჟინებული თხოვნისა – დარჩენილიყო სკოლაში და კვლავ აეყვანა პირველი კლასი, არ დარჩა და გზა ახალგაზრდა პედაგოგებს დაუთმო.

ძნელია ერთ პატარა წერილში ჩაატიო მისი ღვაწლი და დამსახურება. მასწავლებლობა უბრალოდ სამსახური არ იყო მისთვის, არც ნახევარი სამუშაო დღის ან ხანგრძლივი არდადეგების გამო აურჩევია. მისთვის პროფესია მოწოდება იყო.

ბავშვებზე ზრუნვა დილიდან იწყებოდა და გვიან ღამემდე გრძელდებოდა, არასდროს ასვენებდა მათზე ფიქრი. საზრუნავს რა გამოულევდა. ფუტკარივით მშრომელი, ზნემაღალი პიროვნება, ჩუმი, უპრეტენზიო, არასდროს კარგავდა სამართლიანობის გრძნობას. ხელს უწყობდა ბავშვებს მიდრეკილებებისა და ინტერესების განხორციალებაში. კარგი მრჩეველი, საოცრად თბილი და ყურადღებიანი ყველას მიმართ ჩვენთვის მისაბაძი პიროვნება და მისაბაძი პედაგოგი იყო. მის ჩატარებულ გაკვეთილებსაც სხვანაირი ხიბლი ჰქონდა, ერთი გაკვეთილი მეორეს არასდროს ჰგავდა. ყოველთვის ახლის ძიებაში იყო, უაღრესად კარგად ფლობდა თანამედროვე მეთოდებს.

აქტიურად იყო ჩართული სკოლის ცხოვრებაშიც. ვინ მოთვლის, წლების განმავლობაში რამდენი მადლობა, ჯილდო და საგაზეთო სტატია დაიმსახურა. უთუოდ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ქალური ბედნიერებისათვის ვერ მოიცალა, პირადული არასდროს ახსოვდა. „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“ – ეს სტრიქონები მართლაც რომ მიესადაგება ქალბატონ ეთერს.

თბილისის 130-ე საჯარო სკოლის
დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი

სპორტი

ტურნირი მინი-ფეხბურთში

57-ე საჯარო სკოლა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს საქართველოს საჯარო სკოლებს შორის მინი-ფეხბურთის ტურნირის ჩატარებას.

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ტურნირი სახელოვანი ქართველი ფეხბურთელების სახელობის თასზე, რაც მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებას უწყობს ხელს.

ჩვენი სკოლის ინიციატივით, საქართველოს მასშტაბით, ჩატარდა თბილისის დინამოს ყოფილი კაპიტნის – შოთა იამანიძის ხსოვნის ტურნირი მინი-ფეხბურთში. ფინალი მისი ტრაგიკულად დაღუპვის დღეს – 15 ოქტომბერს დავუკავშირეთ.

ტურნირზე წარმოდგენილი იყო: მცხეთის რაიონის სოფელი „ციხისძირი“ 2 გუნდით; ქარელის რაიონის დაბა აგარის და კასპის რაიონის სოფელ ფერმის აზერბაიჯანული დასახლების საჯარო სკოლები; თბილისის 57-ე საჯარო სკოლა ორი გუნდით; 55-ე და უკრაინული საჯარო სკოლები; სენტ-ეგზიუპერის ფრანგული კოლეჯი ორი გუნდით; სკოლა-ლიცეუმი „მოძღვარი“; სულ – 13 გუნდი. შეჯიბრი წრიული სისტემით ჩატარდა, გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ: მცხეთის რაიონის სოფელ ციხისძირისა და 57-ე საჯარო სკოლასთან არსებული ნაკრები გუნდი „ვაკე“. გაიმარჯვეს „ვაკელებმა“, ანგარიშით 6:4; მეორე ნახევარფინალში: ქარელის რაიონის დაბა აგარა და კასპის

რაიონის სოფელი ფერმა – 4:2.

მესამე ადგილისთვის კასპის რაიონის სოფელ ფერმისა და მცხეთის რაიონის სოფელ ციხისძირის გუნდები შეხვდნენ, გაიმარჯვა მცხეთის რაიონის სოფელმა ციხისძირმა 6:4.

ფინალში 57-ე საჯარო სკოლასთან არსებული ნაკრები გუნდი „ვაკე“ ქარელის რაიონის დაბა აგარის გუნდს ეთამაშა და გაიმარჯვა – 9:5.

ფინალს შოთა იამანიძის შვილი დათო იამანიძე და შვილიშვილი შოთა ესწრებოდნენ.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა **სანდრო კეჟერაშვილი**, საუკეთესო მეკარედ – **ნიკოლოზ ისაკაძე**, ბომბარდირად – **ირაკლი კამლაძე**, 12 გატანილი გოლით (ყველანი 57-ე საჯარო სკოლელები არიან), საუკეთესო მცველად – **ლაშა ვართანიანი** (დაბა აგარა), ტექნიკურ ფეხბურთელად – **ნიკა ხუციშვილი** (ციხისძირი). მათ გადაეცათ პრიზები და წიგნი „ისწავლე ფეხბურთი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ასევე სიგელები და თასები.

ტურნირში მონაწილეობისთვის გვინდა მადლობა გადავუხადოთ ქარელის რაიონის დაბა აგარის სკოლის მასწავლებელს **გიორგი ხაჭაპურიძეს** და მცხეთის რაიონის სოფელ ციხისძირის სკოლის მასწავლებელს **ზურაბ ელყანაშვილი.** განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კასპის რაიონის სოფელ ფერმის სკოლის დირექტორი **შახალი ისმაილოვი** – სამი წელია, ეს სკოლა მუდმივად მონაწილეობს მინი-ფეხბურთის ტურნირებში.

ტურნირის ორგანიზატორი – თბილისის 57-ე საჯარო სკოლის დირექტორი **სოსო ხუციშვილი** და სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრა.

ვახტანგ გაძანიძე
57-ე საჯარო სკოლის სპორტისა
და ესთეტიკის კათედრის
ხელმძღვანელი,
ტურნირის მთავარი მსაჯი,
გამარჯვებული
გუნდის მწვრთნელი

ქართველები ელიტრაუნდში

საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა წარმატებით გადაჭრა მთავარი ამოცანა – ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ელიტრაუნდში გავიდნენ. მას შემდეგ, რაც მათ თბილისში დამთავრებული საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ შეხვედრაში პოლონელებს **ბაჩანა არაბულის** გოლით 1:0 მოუგეს, ჯგუფიდან გასვლის ჩინებული შანსი მიიღეს. თუმცა, მეორე შეხვედრა ჯგუფის ფავორიტ ბრიტანელებთან უწევდათ, მათთან იოლ მატჩს არავინ ელოდა. თამაში ჩვენმა ფეხბურთელებმა ცოტა შებოჭილად დაიწყეს და პირველი ტაიმი 0:1 დათმეს. შესვენების შემდეგ **კობა ჟორჟიკაშვილმა** კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ არა

მარტო კარგი ტაქტიკოსი, კარგი ფსიქოლოგიცაა – მეორე ტაიმი ჩვენებმა ბევრად მაღალ დონეზე ჩაატარეს და ისევ არაბულის გოლით ანგარიშიც გაათანაბრეს. შეხვედრაც ფრედ დამთავრდა – 1:1.

ჯგუფის ბოლო ორთაბრძოლაში ჩვენებს შვედებთან ფრეც აძლევდათ ხელს, მაგრამ ჟორჟიკაშვილის და მისი გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაცვით, ჩაკეტილ ფეხბურთზე არც უფიქრიათ და შემტევი თამაში გვაჩვენეს, თუმცა წვიმიან ამინდში გოლის გატანა გაუჭირდათ. მათ საწადელს მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მიაღწიეს, როცა **გურამ სამუშიამ** თავით გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

ჩვენმა ნაკრებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა – ბრიტანელებმა ბურთების უკეთესი სხვაობით გაგვისწრეს, თუმცა პირველ-მეორე ადგილს მნიშვნელობა არც ჰქონდა. ელიტრაუნდის წილისყრა მოგვიანებით გაიმართება.

ირაკლი თავაძე

* * *

№81 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ამიერიდან სპორტის გაკვეთილები ახალ სპორტულ მოედანზე ჩაუტარდებათ. მოედანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** გახსნა.

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, თბილისის ყველა საჯარო სკოლაში სპორტული მოედანი ან სპორტული დარბაზი გარემონტდა და კეთილმოეწყო, სადაც მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილები ჩაუტარდებათ. მნიშვნელოვანია სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვა, რათა ბავშვები ჯანსაღი ცხოვრების წესით აღიზარდონ“ – აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა.

თბილისის მასშტაბით, 30 საჯარო სკოლაში ახალი სპორტული მოედანი გაკეთდა, 70 სკოლაში სპორტული დარბაზი მოეწყო. რეაბილიტირებული სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურა სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და შესაძლებელია მოზარდების სპორტის სხვადასხვა სახეობებში კომპლექსურად მომზადება.

81-ე საჯარო სკოლაში 560 მოსწავლე სწავლობს, სკოლა მრავალეროვნულია და მასში ქართული, სომხური და რუსული სექტორი მოქმედებს. მოსწავლეებს ფეხბურთისა და ორთაბრძოლების გაკვეთილები უტარდებათ. ახლად გახსნილ მოედანზე ისინი ფეხბურთის თამაშსაც შეისწავლიან შეისწავლიან.

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 26 ოქტომბრიდან, საქართველოს საჯარო სკოლებში პროგრამის „აინშტაინი“ განხორციელება იწყება. პროგრამა საბუნებისმეტყველო საგნებში სასკოლო ლაბორატორიების მოწყობას ითვალისწინებს, რაც მიზნად ისახავს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერებას.

„საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერების მიზნით აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის დანერგვა. სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია წარმოადგენს. სწავლების პროცესი საინტერესო და სახალისო უნდა იყოს, სწორედ ამიტომ, სამინისტროს ინიციატივით, ამოქმედდა პროგრამა „აინშტაინი“ – განაცხადა პროგრამის პრეზენტაციისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**.

პროგრამის დადებით მხარეებზე ასევე ისაუბრეს 24-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **გია მურღულიამ** და ი. ვეკუას სახელობის 42-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **ალუდა გოგლიჩიძემ**.

პროგრამა „აინშტაინის“ მიხედვით ყველა საჯარო სკოლა-

ში საბუნებისმეტყველო საგნების – ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის – კაბინეტებში სასწავლო ლაბორატორიები ეტაპობრივად მოეწყობა.

* * *

„საქართველოს განათლების სისტემის დამსაქმებელთა გაერთიანება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საჯარო სკოლის დირექტორებს გადაამზადებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** გაერთიანების მიერ მომზადებულ პრეზენტაციას დაესწრო.

„საქართველოს განათლების სისტემის დამსაქმებელთა გაერთიანების“ ხელმძღვანელმა **დავით ლაგვილავამ**, „სკოლის ფინანსური მართვის“ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრეზენტაცია წარმოადგინა, რომელიც გაერთიანების დაკვეთით „სინგულარ ჯგუფის“ მიერ შეიქმნა.

სისტემა, რომლის მიხედვითაც საჯარო სკოლის დირექტორთა გადამზადება და კონსულტირება მოხდება, სკოლის მართვის საკითხებთან იქნება დაკავშირებული და სკოლის დირექტორის სტანდარტთან შესაბამისობაში. იგი ასევე სრულად იქნება თავსებადი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილ მოსწავლეთა საინფორმაციო სისტემასა და მასწავლებელ-

თა პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზასთან.

* * *

აკაკი წერეთლის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციით გაიხსნა.

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** გამოვიდა. მისი თქმით, უდიდესია აკაკი წერეთლის როგორც პოეტისა და მწერლის, ასევე საზოგადო მოღვაწის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე. სწორედ ამიტომ, შთამომავლობამ კიდევ ერთხელ უნდა გააცნობიეროს მისი როლი, რისთვისაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მასშტაბით, აკაკის კვირეული ტარდება.

აკაკის კვირეული უნივერსიტეტში პლენარული სხდომით დაიწყო და მთელი დღის მანძილზე გაგრძელდა. მასში მონაწილეობდნენ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულ-

ტეტის პროფესორები, დოქტორანტები და სტუდენტები, რომლებმაც აკაკის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებები წარმოადგინეს, თემებზე: „აკაკი წერეთლის ღვაწლი“, „აკაკი წერეთელი და თანამედროვეობა“, „აკაკი წერეთლის პოლიტიკური მსოფლმხედველობა“ და ა.შ.

აკაკის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეული საქართველოს საჯარო სკოლებშიც ტარდება, კვირეულის ფარგლებში სკოლები დაგეგმავენ და განახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის გაიმართება თხზულებების კონკურსი, თემაზე: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ VIII-XII კლასის მოსწავლეები. გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოება აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმში, სოფელ სხვიტორში გაიმართება.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე** ლატვიის უნივერსიტეტების წარმომადგენელთა დელეგაციას შეხვდა. უცხოელი კოლეგების ორდღიანი ვიზიტის მიზანი, მენტორობისა და მასწავლებლობის მაძიებლობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სიახლეების გაცნობა და გამოცდილების გაზიარება იყო.

გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, მათ შორის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში სხვადასხვა მიმართულების კოორდინატორებთან.

დელეგაციამ დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღო საგნობ-

რივი სტანდარტების, ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის სწავლების, მაღალმთიანი რეგიონების სკოლების კვალიფიციური მასწავლებლებით უზრუნველყოფის, უცხო ენისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლებასთან დაკავშირებით. დელეგაციის წევრები, ასევე, დაესწრნენ მენტორობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესს.

სამომავლოდ იგეგმება მენტორებთან შეხვედრა სკოლებში, ინკლუზიური განათლების ექსპერტებთან და ქუთაისისა და თელავის უნივერსიტეტების პედაგოგიური ფაკულტეტების წარმომადგენლებთან ერთობლივი სამომავლო პროექტების განხორციელების მიზნით.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, პირველად განათლების სისტემაში, ეროვნული საკვალიფიკაციო სტანდარტები შეიმუშავა.

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“ დოკუმენტი საზოგადოებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და განათლების ხარისხის განვითარების ეროვ-

ნული ცენტრის ხელმძღვანელმა **დავით კერესელიძემ** წარუდგინეს.

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“ აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. დოკუმენტი აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის, დიპლომის მისაღებად.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს:

სტუდენტზე, მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას;

საქართველოში მიღებული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას;

სტუდენტებისა და მოსწავლეების მობილობის პროცესს;

სასწავლო პროგრამების შექმნის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მიღებით დაინერგება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სისტემა, რასაც ითვალისწინებს სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო **(The European Qualifications Framework for Lifelong Learning -** LLL**)**. ეს სისტემა რვადონიანია და მოიცავს ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას. ამ გზით გამარტივდება საქართველოში მიღებული განათლების აღიარება საერთაშორისო დონეზე, რაც განათლების რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ღონისძიებას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები დაესწრნენ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე** ნორვეგიის განათლებისა და კვლევის მინისტრის მოადგილეს **ლისბეტ რუგტვედტს** შეხვდა. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო საკითხი და ის წარმატებული ნაბიჯები, რომლებიც მიღწეულ იქნა ამ მიმართულებით.

ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი და სტრატეგიული გეგმის ნაწილია. მის განხორციელებას ემსახურება ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მეთოდოლოგიური და ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი *„ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში“* .სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების მხარდაჭერის სამწლიანი პროგრამა (2009-2011) სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად ხორციელდება და მისი მიზანია ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს მასშტაბით.

განვლილ პერიოდში შესრულებული სამუშაოების გაცნობის შემდეგ, ლისბეტ რუგტვედტმა დადებითი შეფასებები გაკეთა და პროექტის მიმდინარეობას მომავალში მხარდაჭერა აღუთქვა. ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია თბილისის ინკლუზიური განათლების საპილოტე 10 საჯარო სკოლაში სტუმრობა, სადაც ნორვეგიის განათლებისა და კვლევის მინისტრის მოადგილე სკოლებში ინკლუზიური განათლების კუთხით მიმდინარე ინიციატივებს გაეცნობა.

* * *

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დაარსებიდან 80 წლის იუბილეს აღნიშნავს. საიუბილეო კვირეულის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სასწავლო დაწესებულებას ეწვია და რამდენიმე ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

იუბილესთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორებისათვის დიპლომების გადაცემის ცერემონიალი გაიმართა. საიუბილეო მედლები გადაეცათ უნივერსიტეტის უცხოელ სტუმრებს, წარმოდგენილ იქნა კინოქრონიკა „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ტრადიციებით მომავლისკენ“.

მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიისადმი მიძღვნილ ფოტო და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ნახატების გამოფენას. ღონისძიებაში ჩართული იყო ყველა სტრუქტურა, ყველა თაობის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

1918 წელს, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, ქართული უნივერსიტეტი დაარსდა. პირველი რექტორი **პეტრე მელიქიშვილი** იყო. ამავე წელს უნივერსიტეტში სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გაიხსნა. 1930 წლიდან უმაღლესი სასწავლებელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, ხოლო 1992 წლიდან უნივერსიტეტის სახელით ფუნქციონირებს. ამჟამად აქ ხუთი ფაკულტეტია: მედიცინის, სტომატოლოგიური, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის. სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედებს ოთხი უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ზოგადი პროფილის მედდის, ბებიაქალის, ფარმაცევტის თანაშემწის, სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) წევრია. უნივერსიტეტში 371 სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი მუშაობს. მათთან ერთად აკადემიურ პროცესში 350 მოწვეული მასწავლებელია ჩართული.

გამოფენა

მე ♥ თბილისი

24 ოქტომბერს, თბილისის ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში „თბილისობისადმი“ მიძღვნილი ტრადიციული გამოფენა „მე მიყვარს თბილისი“ გაიხსნა. ექსპოზიციაში 400-მდე ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. გამოფენაში მონაწილეობდნენ თბილისისა და რეგიონების ხელოვნების სტუდიის მოსწავლეები. აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისის 203-ე ყრუ და სმენადაქვეითებულთა საჯარო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრები. ბავშვთა სურათების გალერეის დირექციამ პედაგოგები და მოსწავლეები, გამოფენაში „მე მიყვარს თბილისი“ მონაწილეობისათვის, სპეციალური სერტიფიკატებით დააჯილდოვა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ძალისის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ ექსპოზიციას. ფიროსმანის მოტივების მიხედვით შექმნილი თოჯინები (ქსოვილი, პლასტილინი, ბარელიეფები, თექა) ძალზე საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმოაჩინეს. დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა ენახა: „ოჯახური პიკნიკი“, „ქალი ყვავილებით და ქოლგით“, „მეთევზე, „კინტო“, „ძიძა ბავშვით,“ „ქეიფი არღნით“, „გლეხის ქალი ბავშვებით“, „მეეზოვე“, „ქართველი ქალი“, „ალექსანდრე ბარნოვის პორტრეტი“, „შეშის გამყიდველი“, „ძველი თბილისის აივნიანი სახლები“ და სხვ.

ანი ხარაშვილი, 186-ე საჯარო სკოლასთან არსებული ხელოვნების სტუდიის პედაგოგი: *„გამოფენებში ხშირად ვმონაწილეობთ, დღევანდელ გამოფენაში ჩვენი სტუდიის 15 მოსწავლის ნამუშევრებია გამოფენილი. წარმოვადგინეთ ძველი თბილისის თემაზე შექმნილი ნამუშევრები, რომლებიც სხვადასხვა ტექნიკით (გუაში, აკვარელი, პლასტელინი) შეასრულეს ბავშვებმა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გალერეის დირექციას დღევანდელი დღის ორგანიზებისათვის“.*

ნაია ენდელაძე, თბილისის 38-ე საჯარო სკოლისა და კავკასიის ფრანგული სკოლის ხელოვნების სტუდიის პედაგოგი: *„დიდი მადლობა დღევანდელი გამოფენის ორგანიზატორებს იმისათვის, რომ მოგვეცა საშუალება მონაწილეობა მიგვეღო დღევანდელ გამოფენაში, ეს ბავშვებისთვის ძალიან დიდი სტიმულია. გამოფენისთვის დიდი მონდომებით ემზადებოდნენ, ნახატები ძირითადად გუაშში, პასტელში, ფანქარში შეასრულეს. დღევანდელი დღე მათ ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ“.*

ლია გორგაძე, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის დირექტორი: *„თბილისობისადმი“ მიძღვნილი გამოფენა ტრადიციულად, 30 წელია, იმართება. დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ წელს საქართველოს რეგიონებიდან უამრავი ბავშვი გამოგვეხმაურა და ძალზე საინტერესო ნამუშევრები მოგვაწოდეს. ჩვენი გალერეის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ჩვენ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა მივაღებინოთ სხვადასხვა პრობლემების მქონე ბავშვებს, რათა მათი საზოგადოებაში ინტეგრირება მოვახდინოთ. ამჯერად გამოფენაში მონაწილეობენ თბილისის 203-ე ყრუ და სმენადაქვეითებულთა საჯარო სკოლის მოსწავლეები. საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმოაჩინეს თავი ძალისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ნამუშევარი ძალიან საინტერესოა კომპოზიციით, შესრულების ტექნიკით, ფერადოვანი გამით და, რაც მთავარია, ყველა მათგანში იგრძნობა თბილისისადმი დიდი სიყვარული“.*

ნინი მეტრეველი, 10 წლის: *„მე და ჩემმა დამ – ქეთომ გამოფენისთვის შემოდგომის პეიზაჟი დავხატეთ. ძალიან გვიხარია, რომ უამრავ ნამუშევარს შორის ჩვენი ნახატიც არის. გამოფენაში მონაწილეობისთვის გალერეამ დიპლომებით დაგვაჯილდოვა“.*

ანი ოსაძე, 6 წლის: *„გამოფენაში პირველად ვმონაწილეობ და ძალიან მიხარია. ჩემი ნახატი – „ძველი თბილისი“ ბევრმა დამთვალიერებელმა ნახა. ხატვა ძალიან მიყვარს, ჯერ მხოლოდ ფანქრებით და პასტელებით ვხატავ, მიყვარს ბუნების პეიზაჟების, ცხოველებისა და ფრინველების ხატვა“.*

დავით გედენიძე, 8 წლის: *„მე დავხატე გოგონა ძაღლით, რომელიც თბილისის ქუჩებში დასეირნობს. გამოფენაზე ჩემი თანატოლების ნახატები დავათვალიერე და ძალიან მომეწონა. ხატვა ძალიან მიყვარს, მინდა მხატვარი გავხდე“.*

თინათინ გოგიტიძე, 8 წლის: *„ძველი თბილისი დავხატე, აივნიანი სახლები და ეკლესიები. გამოფენებში ხშირად ვმონაწილეობ, მაგრამ დღევანდელი დღე ჩემთვის განსაკუთრებულია. გამოფენაში მონაწილეობისათვის სიგელიც დავიმსახურე. დიდი მადლობა ჩემი ხატვის მასწავლებელს – **ნინო გვათუას**, რომელმაც ხატვა ძალიან შემაყვარა“.*

მარინა თაბორიძე, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის საგანმანათლებლო შემეცნებითი განყოფილების გამგე: *„თბილისობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა პირველად 1981 წელს გაიხსნა. წლევანდელ გამოფენაში თბილისსა და რეგიონის ხელოვნების სტუდიის ბავშვები მონაწილეობენ. სულ წარმოდგენილია 380-მდე ბავშვის 400-ზე მეტი ნამუშევარი. გამოფენა მართლაც ორიგინალურია, თითოეულ ნამუშევრში ნათლად ჩანს ბავშვების დამოკიდებულება, სითბო და სიყვარული ჩვენი ქალაქის მიმართ. ფერებით, კომპოზიციით, შინაარსით ყველა ნახატში თბილისური შემოდგომაა. მოსწავლეები და მათი პედაგოგები, ტრადიციულად, გამოფენაში მონაწილეობისათვის სერტიფიკატებით დავაჯილდოვეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძალისის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ ფიროსმანის მოტივებზე შექმნილი ნაჭრის თოჯინები. გამოფენისთვის ბავშვები საგანგებოდ ემზადებოდნენ. ძალისელმა გოგონამ თოჯინის გასაკეთებლად თურმე თმებიც კი მოიჭრა, რათა მისი თოჯინა უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო. ხატვისას ერთმა ბავშვმა მითხრა: მე ვხატავ თბილისს და ამით მას მოვეფერებიო. აი, ასეთი განწყობით ემზადებოდნენ ბავშვები დღევანდელი დღისთვის. გამოფენა „მე მიყვარს თბილისი“ 10 ნოემბრამდე გასტანს. ჩვენ ყველა ბავშვს მოვუწოდებთ, მოვიდეს ჩვენს გალერეაში და დაათვალიეროს თანატოლების ნამუშევრები“.*

მაკა ყიფიანი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.